# პიონერი




5-6

1932 ს ა ხ ე ლ გ ა მ ი 1932

მუშათა საქმისათვის იყავ მზად!

# პიონერი

№ 5-6

05
3—47, 5-6

საქართველოს ბ. კ. ო. ცენტრალური ბიუროს და განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარმართველობის ჟურნალი ბავშთათვის.

მარტი
1932
წელიწადი მე-7

რედაქციის მისამართი:
ალმასკომის ქ., № 7.
სახელგამი,
საყმაწვილო და საბავშო სექტორი



იერიშის მიტანა მოწინააღმდეგეზე



ტფილისის ს.პ.ს. სახმეურნეობა. სოციალისტ. მექათმეობა

## შინაარსი

1. რა თქვა მეჩვიდმეტე პარტკონფერენციამ 1
2. რვა მარტი **კრუპსკაია** . . . . . . . 2
3. კომუნის ხსოვნას **ლენინი** . . . . . 5
4. პარიზის კომუნის მონაწილის მოგონება—**იპ. ნოელი** . . . . . . . . . 6
5. ალკკ-ს მანდატი, ლექსი—**გრ. ესებუა** 7
6. მანქანათა მიტინგი **ლადო ძნელაძე** . 7
7. პატაკი განმუშაკთა მე-8 ყრილობის . 9
8. საგაზაფხულო თესვა,—ლექსი, **შ. სამადაშვილი** . . . . . . . . . . 10
9. შირაქი იჭექებს **ს. მთვარაძე** . . . 11
10. **ნორჩ პიონერთა ცენტრალური ბიუროს და სასოფლო-სამეურნეო სადგურების დადგენილება პიონერთა მასსებში. გავაძლიეროთ პიონერთა მონაწილეობა თესვის კამპანიაში: 1. ვიბრძოლოთ თესვის გეგმების შესრულებისა და მოსავლიანობის მაღალ ხარისხისათვის, 2) თელავის ბ. კ. ო. რაიბიუროს მონაწილეობა საგაზ. სასოფლო-სამეურნეო თესვაში, 3) რას გვწერენ ხონის რაიონიდან, 4) პიონერებო მესამე ბოლშევიკური გაზაფხულის ხვნა-თესვა დაიწყო** . . . . . . 1
11. სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაცია, (დასასრული) **საშა** . . . . . 1
12. გალვიძებული დედამიწა **ს ბელიაევი** 1
13. ამიერ-კავკასიას, ლექსი პიონ. **ავთანდილ კაშმაძის** . . . . . . . . . . 20
14. ქალაქების აკვანი, თარგ **თ. მოდებაძისა** . . . . . . . . . . . . . 2
15. მთვარეზე აფრენა რაკეტით გადმოკეთებული **შ. თ—ს** მიერ . . . . . 2
16. კომკავშირი ლექსი თარგ. ვ. გ. . 2
17. ბარონ ბიბინეიშვილი,—ლადო კეცხოველი — კ. **მელაძე** . . . . ყდაზე
18. რწყილისა და ჭიანჭველის გზით **ძნელ ოღლი**—კარიკატ. ნახ. **რევაზიშვილი**

სარედაქციო კოლეგია: ან. ბველესიანი, კ. მელაძე, შ. თაბუკაშვილი, გ. ლომიძე, ირ. აბაშიძე, ბ. ბარსეგიანი, გრ. გიორგაძე.

პასუხისმგებელი რედაქტორი კ. მელაძე

329.153 (05)

# რა თქვა მე-17 პარტკონფერენციამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

30 იანვრიდან 14 თებერვლამდე მოსკოვში მიმდინარეობდა საკავშირო კომუნისტური პარტიის მეჩვიდმეტე პარტკონფერენცია.

კონფერენციაზე გამოვიდენ მოხსენებებით ამხანაგები: **მოლოტოვი, ორჯონიკიძე და კუიბიშევი 1931 წლის** შედეგების, პირველი ხუთწლედის უკანასკნელი, მეოთხე წლის გეგმის და მეორე ხუთწლედის გეგმის შესახებ.

პირველ ხუთწლედში საბჭოთა კავშირმა დაასრულა სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის ჩაყრა, მეორე ხუთწლედის ამოცანაა სოციალისტური საზოგადოების შექმნა.

პირველი ხუთწლედის გეგმა ძირითადში უკვე შესრულებულია, რითაც მიღწეულია მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვებები.

პირველ ხუთწლედში შექმნილია საკუთარი მაგარი ინდუსტრიალური ბაზა, შექმნილია მძლავრი მოწინავე მრეწველობა მსოფლიო ტექნიკის საუკეთესო მიღწევების მიხედვით, რომლის შემწეობით საბჭოთა კავშირს შეუძლია ამ ახალი ტექნიკური ბაზის საფუძველზე, საკუთარი ხელებით, საკუთარი მანქანებით, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის გადაკეთება.

**ასეთია ძირითადი შედეგი პირველი ხუთწლედისა, რომელმაც განსაკუთრებული სიცხადით დაუმტკიცა მთელ მსოფლიოს გეგმიანი სისტემის უპირატესობა, სოციალიზმის უპირატესობა".**

მთელი საბჭოთა კავშირის ბოლშევიკები, ყრილობაზე შეკრებილნი, აღნიშნავდენ, რომ **„საბჭ. მრეწველობამ, წარსული წლების პოლიტიკური და სამეურნეო მიღწევებზე დაყრდნობილმა, 1931 წელი ბრწყინვალე გამარჯვებით დაამთავრა".**

კონფერენცია აღნიშნავს ნაკლოვანებებსაც, რომლის წყალობით მოხდა რამოდენიმედ გეგმის შეუსრულებლობა. ტრანსპორტის ცუდი მუშაობა. შრომის არასაკმაო ორგანიზაცია, წარმოებაში გაუპიროვნება, არადამაკმაყოფილებელი ტექნიკური ხელმძღვანელობა, შრომის ხელფასისა და შრომის ნაყოფიერების არასწორი შეფარდება, სამეურნეო ანგარიშის არასაკმაოდ შემოღება. შესრულების არასაკმაოდ შემოწმება.

კონფერენცია საჭიროდ სთვლის პარტიისა და მუშათა კლასის მთელი ძალღონის და ყურადღების მიმართვას ამ ნაკლოვანებებისა და დაბრკოლებების აღმოსაფხვრელად.

ცენტრალურ ამოცანას მთელი სახალხო მეურნეობის 1932 წლის გეგმაში წარმოადგენს საწარმოო და საამშენებლო გეგმის შესრულება შავი მეტალურგიისა, ქვანახშირის და მანქანათმშენებლობის დარგში. ამას გარდა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს მსუბუქი ინდუსტრიის, აგრეთვე წარმოების კვებითი დარგის ზრდის გაძლიერება.

კონფერენცია საჭიროდ სცნობს 1932 წლის გეგმის შესრულებისათვის პარტიისა და მუშათა კლასის მთელი ძალების მობილიზების და სოცშეჯიბრებისა და დამკვრელობის ფართოდ გაშლას.

მეორე ხუთწლედის ძირითად ამოცანას წარმოადგენს „კაპიტალისტური ელემენტებისა და კლასების საბოლოო ლიკვიდაცია საერთოდ, **„ქვეყნის მთელი მშრომელი მოსახლეობის გადაქცევა უკლასო სოციალისტური საზოგადოების შეგნებულ და აქტიურ მშენებლებად".**

პირველ ხუთწლედში საბჭოთა კავშირმა დაასრულა სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის ჩაყრა.

მეორე ხუთწლედის ამოცანას წარმოადგენს სოციალისტური საზოგადოების შექმნა.

მეორე ხუთწლედის ამოცანაში შედის მთელი სახალხო მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქციის გაფართოება, ტექნიკის დაუფლება, საქონელ-ბრუნვის გაშლა.

ერთ-ერთი რთული ამოცანა—სასოფლო მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა კოლექტიურ და მექანიზირებულ მეურნეობად — უჩვეულო ტემპებით ხორციელდება, და **არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ 1932—33 წ. მთელ საბჭოთა კავშირში კოლექტივიზაცია დასრულდება.**



მაგნიტოგორსკის გიგანტი. დღედალამეში იძლევა 900 ტონაზე მეტ თუჯს

584.

მრეწველობის სხვადასხვა დარგებში მეორე ხუთწლედში გათვალისწინებულია:

**ელექტროფიკაცია:** ელექტროენერგიის წარმოება უნდა გადიდდეს დაახლოვებით ექვსჯერ, პირველი ხუთწლედის ბოლოს მან უნდა მიაღწიოს 17 მილიარდს, მეორე ხუთწლედის დასასრულს—100 მილიარდს.

**მანქანათმშენებლობა:** სასოფლო მეურნეობის მანქანათმშენებლობის ხუთწლიანი გეგმა გადაჭარბებით შესრულებულია სამ წელში, მეორე ხუთწლედში ეს მანქანათმშენებლობა 3 ნახევარჯერ უნდა გადიდდეს და გეგმა, **უდავოა, გადაჭარბებით შესრულდება.**

**თუჯი:** გეგმის მიხედვით გათვალისწინებულია 22 მილონ ტონამდე გამოდნობა.

**ტრანსპორტი:** რკინის გზის ქსელი გადიდდება 25—30 ათასი კილომეტრით, ამას გარდა გაიშლება საავტომობილო ტრანსპორტი, ხუთწლედის დასასრულს ავტომობილების წარმოება წლიურად მიაღწევს 300—400 ათასს, მაგრამ ეს უკანასკნელი არავითარ შემთხვევაში არ განდევნის ტრანსპორტში ცხენის გამოყენებას.

**სასოფლო-მეურნეობა:** მთავარი საკითხი მეორე ხუთწლედში—მოსავლიანობაა. იქნება გაწეული ბრძოლა გვალვის წინააღმდეგ, დიდი ყურადღება მიექცევა კულტურულ მცენარეთა მოშენებას: ბამბას, ჭარხალს, რისთვისაც საჭიროა ქიმიური მრეწველობის მაღალ დონეზე დაყენება. მეორე ხუთწლედის დასასრულს სასოფლო მეურნეობა უზრუნველყოფილი იქნება დაახლოვებით 170 ათასი ტრაქტორით.

მეორე ხუთწლედის შესახებ რეზოლუციაში კონფერენცია გამოსთქვამს იმედს, რომ დასახული გეგმა არა თუ შესრულებული იქნება, არამედ გადაჭარბებითაც შესრულდება, ამის განსახორციელებლად კი საჭიროა შრომის ნაყოფიერების, დამკვრელობისა და სოცშეჯიბრების გადიდება.

„კონფერენცია ღრმად დარწმუნებულია იმაში, რომ მუშათა კლასი და კოლმეურნეთა მასა ნახავენ პარტიულ, კომკავშირულ, პროფესიონალურ და საბჭოთა ორგანიზაციებში ბოლშევიკურ ორგანიზატორებს და ხელმძღვანელებს მეორე ხუთწლედის ძლევამოსილი გამარჯვებისათვის ბრძოლის საქმეში".

„კონფერენცია საჭიროდ სთვლის დაუყოვნებლივ გაიშალოს მუშაობა პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, კოოპერატიულ, პროფესიონალურ და კომკავშირული ორგანიზაციებისა მეორე ხუთწლედის გეგმის დამუშავებისათვის და პარტიის მორიგ ყრილობაზე დასამტკიცებლად ამ გეგმის წარდგენისათვის" (მე-17 პარტკონფერენციის რეზოლიუციიდან) მეორე ხუთწლედის და 1932 წლის გეგმის განხორციელების საქმეში პიონერორგანიზაციები მჭიდროდ უნდა ჩაებან. პიონერები მედგრად უნდა იბრძოდენ სოცეჯიბრებისა და დამკვრელობის გაფართოებისათვის როგორც წარმოებაში ისე სკოლებში.

პიონერები უნდა ჩაებან ტექნიკის დაუფლებისათვის ბრძოლაში.

პიონერები უნდა დადგენ სოციალისტური სახელმწიფოს ინტერესების საღარაჯოზე, უნდა იყონ მუდამ მზად თავისი უფროსი ამხანაგების დასახმარებლად.



წერაკითხვის უცოდინართა მეცადინეობა

# რვა მარტი

ძვირფასო ბავშვებო! თქვენ ყველამ, რასაკვირველია, იცით, რომ 8 მარტი არის საერთაშორისო ქალთა დღე. ეს იციან საბავშო ბაღის ასაკის ბავშვებმაც.

პიონერები მონაწილეობას იღებენ ამ დღის ჩატარებაში. მე ვიყავი რამოდენიმე მრავალრიცხოვან კრებაზე, რომელზედაც ბავშვები ძალიან კარგად გამოდიოდენ. ყოველდღიურ ცხოვრებშიაც კი ისინი ზრუნავენ, რომ დედამ შესძლოს სალიკვიდაციო სკოლაში და კრებაზე წასვლა, დებმა ისწავლონ და ა. შ. მაგრამ უნდა მიექცეს ყურადღება საქმის ერთს მხარეს—ვაჟებისა და ქალების დამოკიდებულებას.

ძველ—დროს ბატონყმობის ეპოქაში, შემდეგ კი კაპიტალიზმის,—ქმარი ოჯახის უფროსი იყო. ეკლესიაში ხუცები მოუწოდებდენ: „ეკრძალვოდეს ცოლი ქმარს". ცოლი იყო მსახური, მონა თავისი ქმრისა, მისი ნებადაურთველად ნაბიჯს ვერ გადადგამდა. განსაკუთრებით უხეშ ფორმაში ეს უფლება სოფლად პოულობდა თავის გამოხატულებას, იქ, სადაც დიდი სიბნელე და უუფლებობა იყო: იქ ყოველ ფეხის გადადგმაზე შეხვდებოდი, რომ ქმარი სცემდა ცოლს, უბაკუნებდა ფეხს, აგდებდა სახლიდან, აიძულებდა ქმრისთვის ემუშავნა. მოდის მთვრალი და ყვირის: „მარო, წაღები გამხადე! „ივანე პეტრესძევ, ამ წუთში" მოკრძალებით უპასუხებს მონა-ცოლი, ცდილობს გალეშილს გახადოს წაღა, იგი კი ცდილობს წაღა სახეში მიიარტყას. მემამულეები, ადგილობრივი ხელისუფლება, სცემდენ გლეხებს, ისინი კი ჯავრს დედაკაცებზე იყრიდენ. თუ ცოლი მოისურვებდა ქალაქში წასვლას, სამუშაოზე მოწყობას, იგი ამას ვერ ჩაიდენდა ქმრის ნებადაურთველად. კანონით ქმარი ცოლის პატრონი იყო, ცოლი კი—მისი ნივთი. მთელს რიგს ხალხთა შორის დღესაც ქმარი თავის ცოლს, უცქერის, როგორც ნივთს. მალავს მას სხვისი თვალისაგან ჩადრის ქვეშ, ჩაჭკეტავს სახლში, თუ მოისურვა—მიჰყიდის მას თავის ნაცნობს, მიჰყიდის მდიდარ მყიდველს.

მაგრამ არა მარტო ბნელ სოფლებში აქვს ასეთს საქმეებს ადგილი. ასეთი ჩვეულება გადაედებოდა სხვებსაც ისეთ პირებს შორისაც კი, რომელთაც დაამთავრეს საშუალო სკოლა, ჩვეულებად იყო ცოლების ცემა.

მახსოვს 1905 წელი. ამხ. ლენინთან ერთად დაკავებული მქონდა ოთახი ერთ დიდ სახლში. გვერდით ცხოვრობდა, ისიც ნაქირავებ ოთახ-



გიგანტ „რეზერის“ ერთ-ერთ ცეხში. ეს ქარხანა ამზადებს მჭრელ იარაღს

ში, ვიღაც ოფიცერი. როგორ ათრევდა თმით ყოველ საღამოობით თავის ცოლს, დერეფანში! ბურჟუაზიას შორის და შეძლებულ ადამიანებს შორის, ქალთა შრომა სხვა ფორმებს იღებდა ქმარი ცოლს არ სცემდა, არ აიძულებდა მას ქმრისათვის ემუშავნა ამ საქმისთვის სახლში მზარეული ქალი და მსახური იყვნენ, მაგრამ ქმარი ცოლს უცქეროდა , როგორც თავის სათამაშოს: აჩუქებდა მას ლამაზ ტანისამოსს, სხვადასხვა სამკაულს, ყელსაბამს, ბეჭდებს, ეალერსებოდა, როგორც კნუტს ან ოთახის პატარა ძაღლს. შეხედულება ქალზე, როგორც გასართობ ნივთზე, ფართოდ არის გავრცელებული ბურჟუაზიულ ქვეყნებში. უმრავლეს ბურჟუაზიულ ქვეყნებში ქალი ან სრულიად მოკლებულია საარჩევნო ხმის უფლებას, ან ეს უფლებები ძალზე შეზღუდულია. ჩვენ ქვეყანაში, საბჭოების ქვეყანაში. ქალი უფლებრივად ყოველმხრივ გათანასწორებულია მამაკაცთან.

ვინაიდან ქალს უცქეროდენ როგორც მონას, ან როგორც სათამაშოს, ფიქრობდენ: ქალს იმდენი ცოდნა არ ესაჭიროება, რამდენიც მამაკაცსო. უმრავლეს ბურჟუაზიულ ქვეყნებში საქალო სკოლებში პროგრამები შეკვეცილია, იქ მეტად აწვებიან რელიგიას, მუსიკას, ხელსაქმეს. ჩვენშიაც 1917 წლის რევოლიუციამდე ასევე იყო: ცალკე გიმნაზიები ვაჟებისათვის და ცალკე ქალებისათვის. ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ ჩვენში ყველა სკოლა გახდა ერთად აღზრდის სკოლად, ქალები ვაჟებთან თანაბრად სწავლობენ.

კომუნისტები ქალს უცქერიან ისე, როგორც ამხანაგს, ებრძვიან ძველს, უმსგავს, ბურჟუაზიულ დამოკიდებულებას ქალისადმი. ცუდია ის კომუნისტი, რომელიც ეპყრობა ქალს ძველებურად კაპიტალისტურად.

კანონით, ჩვენი ქალი გათანასწორებულია მამაკაცთან, ცხოვრებაში კი, ყოფა-ცხოვრებაში ჯერ კიდევ ბევრია ძველი ჩვეულება.

მიმოიხედეთ თქვენს ირგვლივ, ჩაუკვირდით ცხოვრებას, —თქვენ დაინახავთ ბევრს ძველს შეხედულებას. თუ შეამჩნევთ ასეთს შემთხვევებს, იმსჯელეთ მათზე ამხანაგებთან, მოიფიქრეთ, თუ როგორ შეიძლება მათთან ბრძოლა.

ზოგიერთ შემთხვევაში ბურჟუაზია ხსნის თავისი ბავშვებისთვის ერთად აღზრდის სკოლას. მაგრამ ეს სკოლე-



ტფილისის მე-14 ფ. ქ. ს. მოწაფეები კარტოფილს თესავენ



ტფილისის მაუდის ქარხნის დამკვრელი მუშა-ქალი

ბი არ ზრდიან ნამდვილ ამხანაგურ დამოკიდებულებას ვაჟებსა და ქალებს შორის. ქალები და ვაჟები განკერძოებულად დგებიან დასვენების დროს, ქალები ცალკე დადიან, ბჭობენ იმაზე, თუ ვაჟთაგან რომელი არის უფრო „საინტერესო“, უფრთხიან ვაჟებს, ამავე დროს კი ცდილობენ უფრო კოხტად ჩაიცვან, შეიღებონ ტუჩები, რათა ვაჟებს უკეთ მოეწონონ. ერთი სიტყვით, თავი უჭირავთ, როგორც პატარა ბურჟუებს. ვაჟები კი მათ არ ეშვებიან, აჯავრებენ ქალებს, სწერენ მათ სულელურ წერილებს, ცდილობენ რაც შეიძლება მწვავედ შეაგინონ, ამავე დროს იწყებენ მათთან ტრფობას, ერთი სიტყვით—იჭერენ თავს, როგორც ნამდვილი პატარა ბურჟუები. მასწავლებლები სდუმან. კაპიტალისტურ ქვეყნებში ასეთი რამ სრულიად ბუნებრივად ითვლება.

ჩვენში? სამწუხაროდ, ჩვენშიაც არა თუ მხოლოდ ოჯახში, არა მხოლოდ ქუჩაში, არამედ სკოლაშიაც კი ბავშვებს რამდენიც გინდათ იმდენი აქვთ ბურჟუაზიული ქცევა. ნუ თუ ჩვენთან სკოლაში არ არის ისე, რომ კლასში ქალები ვაჟებისგან განცალკევებით სხედან, ვაჟი კი სასირცხოთ სთვლის ქალთან ჯდომას. როგორაა თქვენთან სკოლაში? ნუთუ არ ხდება ხოლმე, რომ ვაჟები აბრაზებენ ქალებს, მიიყვანენ ქალებს ცრემლებამდე, შემდეგ კი დამცირებით ლაპარაკობენ: „აი, ატირდა ბალღი!“ ბურჟუა ფიქრობდა, რომ მას შეუძლიან ქალის ყოველმხრივ დამცირება, შეურაცყოფა, მან კი არ უნდა შეიმჩნიოს, რომ შეურაცყოფილია, უმძიმს. აი, ჩვენი ბავშვებიც ჩანდახან ბურჟუაზიულად შეურაცყოფენ ქალებს, შემდეგ კი უკმაყოფილებას გამოსთქვამენ, რომ ქალები ბრაზდებიან. არის თუ არა თქვენს სკოლებში ასეთი შემთხვევები? ახდა ხდება ასე: აირჩევს ვაჟი თავის გულის სატრფოს, წერილებს სწერს, ცდილობს ასიამოვნოს. იგი ემლება თავის ამხანაგ ქალს, „სკოლის რაინდი“ კი შეუთანხმდება ამხანაგს—სცემოს ქალს, რომელიც წაედავა მის „გულის სატრფოს“. ნუთუ არ სცემენ ვაჟები ქალებს, ნუთუ ვაჟები და ქალები ჩუმად არ კითხულობენ ბურჟუაზიულ თარგმნილ ლიტერატურას? როგორ უცქერიან ამას პიონერები, როგორ ებრძვიან ყოველივე ამას, როგორ ითმენენ ამ ბურჟუაზიას!!

როდესაც ბავშვები შედიან პიონერებად, ისინი იძლევიან საზეიმო პირობას—იბრძოლონ ლენინის საქმისათვის, მუშათა კლასის საქმისათვის.

ლენინი მთელი სიცოცხლე ებრძოლა ქალისადმი ბურჟუაზიულ დამოკიდებულებას. იბრძოდა ქალის თანასწორუფლებიანობისათვის, მისი განთავისუფლებისათვის. იგი სიხარულით აღნიშნავდა ქალის მიერ რევოლუციონურ ბრძოლაში, საზოგადოებრივ მუშაობაში და საბჭოების მუშაობაში მონაწილეობის მიღებას, ის მოითხოვდა, რომ ქალი, თუნდაც საქმებით ბნელი, სრულიად ჩამორჩენილი; რაც შეიძლება ფართოდ ყოფილიყო ჩაბმული სოციალიზმის მშენებლობაში.

ნორჩ ლენინელებს, პიონერებს არა თუ არ შეუძლიათ შეიტანონ სკოლაში ბურჟუაზიული ჩვევები, არამედ ისინი ყოველმხრივ უნდა ცდილობდნენ ებრძოლონ ამ მოწაფეებს, რომელნიც ამას ჩადიან. ნორჩი ქალები ლენინელები, პიონერი ქალები უნდა გადაეჩვიონ ამ სულელურ ჩვეულებებს, დააწყენ სწავლას, საზოგადოებრივ სამუშაოს.

პიონერო ვაჟებო და პიონერო ქალებო, მუშათა კლასის საქმისათვის საბრძოლველად, ლენინის საქმისთვის იყავით მზად!

ნ. კრუპსკაია.



პოლიტექნიზაცია სკოლაში

## —გაუმარჯოს ქალთა საერთაშორისო დღეს—8 მარტს—

# კომუნის ხსოვნას

ორმოცი წელი გავიდა პარიზის კომუნის გამოცხადების შემდეგ.

განმტკიცებულმა საფრანგეთის პროლეტარიატმა ჩვეულებისამებრ მიტინგებით და დემონსტრაციებით სცა პატივი 1871 წლის 18 მარტის რევოლიუციის მოღვაწეების ხსოვნას, ხოლო მაისის ბოლოს კი კვლავ მიიტანს გვირგვინებს იმ დახვრეტილი კომუნარების საფლავებზე, რომელნიც საშინელი „მაისის კვირის" მსხვერპლი გახდენ, და მათ საფლავებთან დასდებს ფიცს, რომ დაუღალავად იბრძოლებს მათი იდეების სრულ გამარჯვებამდე, მათ მიერ ნაანდერძევი საქმის სრულ განხორციელებამდე.

კომუნა სტიქიურად წარმოიშვა. ის შეგნებულად და გეგმაშეწონილად არავის არ მოუმზადებია.

ეს იყო ისტორიაში გაუგონარი მოვლენა. მანამდე ძალა-უფლება ეჭირათ მემამულეებს და კაპიტალისტებს, ე. ი. იმათ რწმუნებულებს, რომელნიც შეადგენდენ ე. წ. მთავრობას, 18 მარტის რევოლიუციის შემდეგ, როცა ბ-ნ ტიერის მთავრობა გაიქცა პარიზიდან თავისი ჯარებით, პოლიციით და ჩინოვნიკებით,—ხალხი თავისი ბატონ-პატრონი აღმოჩნდა და ძალაუფლება პროლეტარიატის ხელში გადავიდა.

მაგრამ თანამედროვე საზოგადოებაში პროლეტარიატს, რომელსაც ჩაგრავს კაპიტალი ეკონომიურად, არ შეუძლია პოლიტიკურად ბატონობა, თუ არ დაამსხვრია ის ბორკილები, რომლითაც ის მიჯაჭულია კაპიტალზე. აი ამიტომ კომუნის მოძრაობას აუცილებლად სოციალისტური ელფერი უნდა მიეღო, ე. ი. მას უნდა დაესახა მიზნად ბურჟუაზიის ბატონობისა და კაპიტალის ბატონობის დამხობა, თანამედროვე საზოგადოებრივი წყობილების საფუძვლების დანგრევა.

მაგრამ მთავარი, რაც აკლდა კომუნას—ეს იყო დრო, მოცლა ამისათვის. რომ ირგვლივ მიეხედ-მოეხედა, შესდგომოდა თავისი პროგრამის განხორციელებას. მან ვერც კი მოასწრო საქმის დაწყება, რომ ვერსალში მოკალათებულმა მთავრობამ, რომელსაც მხარს უჭერდა მთელი ბურჟუაზია, დაიწყო პარიზის წინააღმდეგ საომარი მოქმედება. ამიტომ კომუნა იძულებული გახდა პირველ ყოვლისა თავდაცვისათვის ეზრუნა და თვით ალსასრულამდე, რომელიც მას წილად ხვდა 21—28 მაისს, არ ეცალა სხვა რაიმე სერიოზულზე ფიქრისათვის...

კომუნის მებრძოლთა ხსოვნას პატივს სცემენ არა მარტო ფრანგი მუშები, არამედ მთელი მსოფლიოს პროლეტარიატი,ვინაიდან კომუნა იბრძოდა არა რაიმე ადგილობრივი ან ვიწრო ნაციონალური ამოცანისათვის, არამედ მთელი მშრომელი კაცობრიობის დაბეჩავებულთა და დამცირებულთა განთავისუფლებისათვის, როგორც პირველმა მებრძოლმა სოციალისტური რევოლიუციისათვის, კომუნამ ჰპოვა სიმპატიები ყოველგან, სადაც იტანჯება და იბრძვის პროლეტარიატი. მისი სიცოცხლისა და სიკვდილის სურათმა, მუშათა მთავრობამ, რომელმაც დაიპყრო და შეინარჩუნა თავის ხელში მსოფლიოს დედაქალაქი 2 თვის განმავლობაში, პროლეტარიატის გმირული ბრძოლის ნახვამ და მისმა ტანჯვამ დამარცხების შემდეგ, — ყოველივე ამან აამხედრა ორი მილიონი მუშა, გაუღვიძა მათ იმედები და მათი სიმპატიები სოციალისტურ მოძრაობას გადახარა; პარიზის ზარბაზნების გრიალმა გამოაღვიძა პროლეტარიატის ის ჩამორჩენილი ფენებიც, რომელთაც საუკუნოვან ძილით ეძინათ, და ყოველგან სტიმული მისცა რევოლიუციონური სოციალისტური პროპაგანდის გაძლიერებას. აი, რატომ არ მოკვდა კომუნის საქმე. ის დღემდე ცოცხლობს თვითეულ ჩვენთაგანში...

კომუნის საქმე—ეს არის სოციალისტური რევოლუციის საქმე, ეს არის მშრომელთა სრული პოლიტიკური და ეკონომიური განთავისუფლების საქმე, ეს არის მთელი მსოფლიო პროლეტარიატის საქმე, და ამ მნიშვნელობით იგი უკვდავია.

**ლენინი.**

ლენინის ეს წერილი მოთავსებული იყო „რაბოჩაია გაზეტა"-ში 1911 წელს. აქ მოგვყავს რამოდენიმე ადგილი ამ წერილიდან.

**რედაქცია.**



წითელი არმია სოციალისტურ მშენებლობის სადარაჯოზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პარიზის კომუნის მონაწილის მოგონება

როცა კომუნა გამოცხადდა, მე მხოლოდ თუთხმეტი წლისა ვიყავი. ვინც კარგად იცის, ვერსალელების წინააღმდეგ, მუშური პარიზის თავგანწირული ბრძოლის ისტორია, ის არ გაიკვირებს, რომ მე, 15 წლის ყმაწვილი, მოზრდილებთან ერთად აქტიურ მონაწილეობას ვიღებდი კომუნის დასაცავად ხალხის მიერ წარმოებულ ბრძოლაში. ფორტების რკალით გარშემორტყმულ პარიზის ბარიკადებზე, რომლითაც გადაჭრილი იყო ქალაქისაკენ მიმავალი ყველა გზა, დაიღუპა არა ერთი და ორი ასეული მუშა, პარიზის უბნებში დაბადებული და აღზრდილი. ისინი მოვიდნენ რევოლუციონური პარიზის გარეუბნებიდან და გმირულად დაეცნენ კომუნის ბარიკადებზე.

ჩვენი ოჯახიდან ნაციონალური გვარდიის რიგებში ორი კაცი იყო—მე და მამაჩემი, ჩვენ შევედით მე 71 ჯგუფში: მამა გვარდიელად, ხოლო მე კი—მედოლედ.

როცა ვერსალელებმა დაიკავეს ფორტების ხაზი და ქალაქში შემოიჭრნენ, ჩვენმა ბატალიონმა მიიღო ბრძანება ერთი ნაწილის, სენტ-ონორეს, დაცვის შესახებ. როცა მოწინააღმდეგე უძლური აღმოჩნდა ჩვენი ძლიერების წინაშე, მან გაიძვერულ ოინებს მიმართა: ვერსალელებმა თოფები უკუღმა, კონდახებით მაღლა, მხრებზე დაიწყვეს და გამოემართნენ ჩვენსკენ. ეს უომრად დანებებას ნიშნავდა. ჩვენ შევაჩერეთ სროლა. როცა ვერსალები მოუახლოვდნენ ჩვენს ბარიკადებს, სრულიად მოულოდნელად გადმოვიდნენ შეტევაზე. ჩვენი ბარიკადების ბედი გადაწყვეტილი იყო: იძულებული გავხდით დაგვეტოვებია ისინი. ამის შემდეგ შევაწყვეთ რამოდენიმე ბარიკადა, მაგრამ ვერც ამისი გამაგრება შევძელით და შეთანხმების მოედნამდე დავიხიეთ.

აქ ტყვედ ჩავუვარდი ვერსალელებს. მე და ზოგიერთი ამხანაგები საპატიმროში გადაგვგზავნეს. აქ სამიოდე კვირა დავყავით. მთელი ამ ხნის განმავლობაში სრულიად უვარგისი და დამპალი სურსათით გვკვებავდნენ.

როცა საპატიმროსაკენ მიგვერეკებოდნენ, გზაში საშინელ სურათს წავაწყდით: ვერსალელები უწყალოდ ჟლეტდნენ კომუნარებს, ისინი ერთ ადგილას თავს უყრიდნენ დაპატიმრებულ კომუნარებს, ამის შემდეგ კი იწყებოდა:—“შენ მარჯვნივ, შენ მარცხნით“.

„მარჯვნივ“ ნიშნავდა საპყრობილეს, „მარცხნით“ კი დახვრეტას. იმ დღეს, სამი საათის განმავლობაში, ნაშუადღევის 3-5 საათამდე 2000 კომუნარი დახვრიტეს. მე და ჩემი ამხანაგიც გავხდებოდით ამ მხეცების მსხვერპლნი, მაგრამ, ჩვენ და საბედნიეროდ, საღამოს სრულ 5 საათზე, ვერსალელებმა მიიღეს [illegible] მუნარების დახვრეტის [illegible] სახებ. ჩვენი სიცოცხლე უკვე უზრუნველყოფილი იყო, მაგრამ ვინ იცოდა, თუ რამდენი ხნით...

მე და ჩემი ამხანაგი ჩქარა გადაგვგზავნეს ვერსალის საპატიმროში. მე აქ გავეცანი ლიუზა მიშელს.

არისტოკრატიული წრიდან გამოსული ქალები ყოვლად უსინდისო თავდასხმებს ახდენდნენ ჩვენზე. ისინი ქოლგებს და ათასგვარ შეურაცხყოფას გვაყენებდნენ.

ამ დროს თურმე მამა დამეძებდა. მას გაეგონა ჩემი დაპატიმრების ამბავი და ვერსალში ჩამოვიდა.

დავინახე თუ არა მამა, შევეკითხე:

— მომიტანე თუ არა სამოქალაქო ტანისამოსი?

მანიშნა, რომ ჩამომიტანა.

— მაშ ახლა კი ვნახოთ, ვინ ვის გააბრიყვებს. მე მცველებს, თუ ისინი მე—გავითიქრე ჩემთვის

მცვლები დიდ ყურადღებას არ გვაქცევდნენ. მე ვისარგებლე ამ შემთხვევით და საჩქაროდ გადავიცვი მამას მიერ მოტანილი ტანისამოსი.

მაგრამ მე ვერ გავითვალისწინე ერთი მოსალოდნელი გარემოება. და იგის თუ არა ვერსალებმა ჩემი გაქცევა, საჩქაროდ დააპატიმრეს მამაჩემი და კუნძულ იობაზე გადაასახლეს. ამის შემდეგ მე დაუყონებლივ დავტოვე პარიზი.

კომუნიზმის უდიდესი იდეა, რომელსაც შეიწირა ათეული ათასი მუშა, გარდა მთიელი ჩემი ცხოვრების მანათობელი ვარსკლავი.

ყველგან, სადაც მიხდებოდა ცხოვრება და მოღვაწეობა, ყოველთვის ვიყავი მუშათა კლასის საერთაშორისო იდეების ერთგული დამცველი, რამაც არა ერთხელ გამოიწვია ჩემი დევნა...

როგორც საფრანგეთის კომპარტიის კანდიდატი, მე ამირჩიეს სენტ-უენის მუნიციპალურ საბჭოში, მაგრამ სულ ჩქარა ჩამომართვეს რწმუნებულობა, რაც ძალიან ხშირად ხდება საფრანგეთში კომუნისტების მიმართ.

ჩემი ცხოვრების 73 წლის შემდეგ მერგო ბედნიერება ვყოფილიყავი საფრანგეთის მუშათა დელეგაციის, წევრი, რომელიც გამოემგზავრა საბჭოთა კავშირში ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავის ზეიმში მონაწილეობის მისაღებად. მე დიდის აღფრთოვანებით აღვნიშნავ იმ ფაქტს რომ რუსეთის პროლეტარიატის მიერ არ ყოფილა დაშვებული ის შეცდომები, რამაც დაღუპვამდე მიიყვანა პარიზის კომუნა.

**იპოლიტ ნოელი.**



ტფილისის მე-10 შრ. სკოლის პიონერები პიონერმოძრაობის ათი წლის თავისთვის ემზადებიან—პლაკატებს ხატავენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ა.ლ.კ.კ. მანდატი

ბევრჯერ დღეები, შხამით ტენილი,
საპირდაპიროდ მდგარა ღალატად,
მაგრამ შიში კი ქრუანტელივით
ახკომკავშირში აღარ გვღალავდა.
და გვიბრძოლია პარტიის გვერდით,
ჩვენ ბოლშევიკის უნარი შეგვწევს,
ლენინურია: გრძნობა, გულმკერდი,
რადგან პარტიას ვართ თანაშემწე.
მტრების ნაწილებს ბევრჯერ შევებით,
გზაც მოუცხრილავს ტყვიების ხრიალს,
მაგრამ მებრძოლი ჭერქვეშელების
დროშა არასდროს არ დაგვიხრია.
დღეს მშენებლობის მაღლობებს ვიპყრობთ,
ბრიგადელები ველზე გახშირდეს.
ტემპში პირველი დამკვრელი ვიყოთ,
ტემპში გვბაძავდენ ახკომკავშირელნ.
ჯერ არ ნახული ხალისი გვახლავს.
დაბრკოლებები ტემპს ვერ გვირბილებს.
როცა ზეიმით ვღებულობთ ახალს
ახკომკავშირის საწევრო ბილეთს.
დაუსევია ტყვიების ბანდა
ჩვენზე მრავალჯერ დროთა ბორიალს.
ასე მგონია—ვღებულობთ მანდატს
და მას საფლავში გრძნობდეს ბორია.
ირგვლივ ცხოვრების სიახლე მიმზერს,
აღმშენებლობით, მხარეო, გბანდავთ,
ვითვალისწინებ საბრძოლო მიზნებს
და ამოცანებს, რომ მოაქვს მანდატს.
აი, ძველ ბილეთს გასვლია ვადა,
მაგრამ მე მაზე ხელს აღარ ვიღებ,
და თუ არქივში ვაბარებ მანდატს,—
დღეს მის ფურცლებზე მოვრჩით თარიღებს.
ჩვენ ყოველ დარგში ვიკავებთ მწვერვალს...
ვსპობთ, თუ გზადაგზა სადმე ძველია,
ძველის თარიღი კვლავ ჩაიწერა—
იგი ახალის საფუძველია.
ახკომკავშირო, ტემპებში იყავ,
შენზე უკეთეს დამკვრელს ვინ ნახავს!
აღმშენებლობას ტემპებით ვიყვანთ
და მანდატს ამგვარ შიზნით ვინახავთ.

**გრ. ესებუა.**



ოდესის გიგანტი

# მანქანათა მიტინგი

აპრილის დილაა. მზე შორს ჰორიზონტიდან გამოსროლილი სხივებით გარს შემოერტყა ფაბრიკა-ქარხნებს. 7 საათია. დაიწყო ყვირილი ტფილისის დეპოს საყვირმა, ბანს აძლევს არსენალი, ხე-ტყის ქარხნები, ფეხსაცმელების ფაბრიკები, „მკერავი", აყვირ და ბამბის გადამმუშავებელი ქარხანაც. მუშებით გაივსო ქარხნის ეზო. შესრულდა 8 საათი. ბამბის ქარხნის მექანიკოსმა აზარაშვილმა გადმოსწია ელდენის სახელური, — დაზგებმა დაიღრიალეს და ამოქმედდენ, დაიხვიეს ბამბის ფანტელები.

მაგრამ....

მაგრამ რა?

რა მოხდა?!

— გაჩერდა კრემპელის სისტემის დაზგა № 9.

— რა მოგივიდა, ამხანაგო დაზგავ? —შეეკითხენ ჩვენი ჟურნალის დამკვრელი ბრიგადირები.

— კბილანა გამიტყდა, ამხანაგებო.

— სხვა ხომ არა გიჭირს რა?

— მიჭირს, ამხანაგებო, გაცვეთილი ვარ 40 პროცენტით. ჩემს წესიერად შეკეთებას 5 დღე სჭირდება.

— მერე და არ შეგაკეთეს?

— მეც მაგას ვჩივი, ამხანაგებო, ადმინისტრაცია ნაკლებ ყურადღებას მაქცევს. მართლაც რიგიანად რომ შე მაკეთონ, 30 პროცენტით გავზრდი მუშაობას.

— ჩვენსკენაც გამოიარეთ, ამხანაგებო — დაგვიძახა № 16 დაზგამ. ადმინისტრაცია არც მე მაქცევს ყურადღებას. მრცხვენია ამის თქმა, მაგრამ უნდა ვაღვიარო, რომ შრომის უნარი 25 პროც. დავკარგე. ჩემს მაგივრად სთხოვეთ ადმინისტრაციას— შემაკეთოს, და მეტ სარგებლობას მოვუტან.

ჩვენს საუბარს ყურს უგდებდა № 1 დაზგა. მან ასე გვითხრა:

— თუ ადმინისტრაციასთან შეიაროთ, სთხოვეთ მეც ბარაბნები გამომიცვალონ, იცოდით, ბარაბნების გამოცვლა სრულიად გამასაღებს.



ოდესის გიგანტი

ვერც კი მოვასწარი კარებში გამოსვლა, რომ ალაპარაკდენ დაზგები: № 2, 3, 4, 5, 6, 7: „ჩვენ ყველას გვჭირდება კბილანების გამოცვლა, ის ყველას გაცვეთილი გვაქვს. თუ გაგვიკეთებენ ახალ კბილანებს, დანახარჯს მალე ავანაზღაურებთ. თვითეული ჩვენგანი გამოუშვებს 30 პროცენტით მეტ პროდუქციას. ჩვენი კბილანების გაფუჭება სულ ტეხნიკური ხელმძღვანელის ზლატოგორსკის ბრალია".

— რატომ?

ის ნაკლებად ზრუნავდა ჩვენზე. ბოლოს ადმინისტრაციამ გააფრთხილა, მაგრამ მაინც ზანტათ მუშაობს. კარგად გვივლის მექანიკოსი აზარაშვილი; — განაცხადეს დაზგებმა და განაგრძეს მუშაობა. № 9 და № 16 დაზგები თავჩაღუნულნი, გაჩერებულნი დარცხვენით გამოიყურებოდენ.

ორ საათზე ჩვენი დამკვრელი ბრიგადირები ფეხსაცმელების № 1 ფაბრიკას ესტუმრენ. საამქროებში მანქანების ტრიალი მუსიკალურ მელოდიას მოგაგონებდათ. ნაწილი მანქანებისა მოლანდებასავით ყრიდა შეკერილ ფეხსაცმელებს. დამკვრელი მუშები ვერც კი ასწრებდენ მანქანებისათვის ფეხსაცმელების მიწოდებას. აქაც შეხვდებით დაზიანებულ მანქანებს.

ჩვენმა ბრიგადამ ჩამოიარა ამ ქარხნის სამექანიკო განყოფილებაც.

— შენ რა მოგსვლია? — შეეკითხენ კუთხეში მდგომ გულხელდაკრეფილ № 5 მანქანას.

— ნუღარ მკითხავთ!—განაცხადა მან.

— მაინც რა მოხდა?

— გული მიკვდება, როდესაც სხვები მუშაობენ და მე კუთხეში ვარ მიგდებული. ერთი წელია, რაც ამ მდგომარეობაში ვიმყოფები. ჩემს შეკეთებას საშველი არ დაადგა. მე კი იცით. რა მაკლია? პატარა კბილანები და უმნიშვნელო ნაწილები. მექანიკოსები მპირდებიან კბილანების გამოცვლას, მაგრამ დრო გადის, მე კი ვერ ვწედავ. მოვითხოვ გამიკეთოთ კბილანები, შემიერთოთ ელდენი და მამსახუროთ სოციალისტურ მშენებლობას! — განაცხადა № 5 მანქანამ.

— ათი თვე შესრულდა, რაც მე არ მიმუშავნია!—წამოიძახა ფეხსაცმელის მკერავმა № 4185 მანქანამ. ჩემი გაცვეთილი ნაწილების გაკეთება ჯერ კიდევ ოთხი თვის უკან დაავალეს 26 კომუნარის სახელობის ქარხანას, მაგრამ დღემდე პასუხი არ მიმილია. რომ გამაჯანსაღონ, ორწყება მუშაობაში 1000 წყვილი ფეხსაცმელს შევკერავ. ჩემს შესაკეთებლად მექანიკოსები მოითხოვენ ახალს, № 3 სახარატო დაზგას. ადმინისტრაციამ ეს დაზგა შეუკვეთა კამოს სახელობის საქარხნო საფაბრიკო სკოლას. მას დაზგა იანვრის ბოლო რიცხვებში უნდა ჩაებარებია.

მანქანათა მიტინგი დამთავრდა. ჩვენმა დამკვრელმა ბრიგადამ მანქანათა გამოთქმული საყვედური გაუზიარა ადმინისტრაციას, ინჟ.-ტექნიკოსებს და მანქანა-დაზგების მომვლელ ხელოსნებს.

შევაკეთოთ დაზიანებული მანქანა-დაზგები, ვამსახუროთ ისინი სოცშეჯიბრების და დამკვრელობის უმაღლეს მწვერვალებს.

შევაკეთოთ ისინი და მოვთხოვოთ მათ შრომის ნაყოფიერების აწევა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება!

**ლადო ძნელაძე.**



**დიტ-ლგილი უპატრონო ქურთის ბავშები ტრაპეზუნში (თურქეთი)**

# მოვუსმინოთ ტფილისის პედაგოგიურ სადგურს

## პატარა განმუშაკთა მერვე ყრილობას

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმდინარე სასწავლო წელს პედსადგურმა მიზნად დაისახა თავისი მუშაობის გარდაქმნა ამხ. სტალინის ექვსი მითითებისა და „დაწყებითი და საშუალო სკოლის შესახებ" ს. კ. პ. (ბ) ცკას ხუთი სექტემბრის დადგენილების საფუძველზე.

სასწავლო წლისათვის მზადება დაიწყო ჯერ კიდევ ზაფხულში და შემდეგში გამოიხატა:

1) პედსადგურმა უზრუნველყო თავი კვალიფიციური და გამოცდილი მასწავლებლებით;

2) სასკოლო შენობას გაუკეთდა საჭირო რემონტი;

3) შევსებულ და მომარაგებულ იქნა ლაბორატორიები და კაბინეტები;

4) გათანაბრების აღმოფხვრის მიზნით პედპერსონალის ხელფასში შეტანილ იქნა ცვლილება იმ მიმართულებით, რომ გადიდებულ იქნა ხელფასი საუკეთესო მეთოდისტების (საგნობრივი კომისიების თავმჯდომარეები),

5) შედგენილ იქნა პედსადგურის წლიური საწარმოო გეგმა, გაკვეთილების და საწარმოო შრომის ზუსტი ცხრილი;

6) არჩეულ იქნა ინდუსტრიალური პრაქტიკისათვის წარმოება-ქარხანა (პოლიგრაფტრესტის ლიტოგრაფია).

7) ჩატარებულ იქნა პედსადგურის პედტექნიკუმში მოსწავლეთა მიღება:

| | |
|---|---|
| მუშების შვილები | 29 პროც. |
| კოლმეურნეთა შვილები | 41 პროც. |
| ღარიბი გლ. შვილები | 20 პროც. |
| მოჯამაგირეები და სხვა | 10 პროც. |

სწავლა პედსადგურის ყველა სასკოლო ერთეულში დაიწყო 1931 წლის 6 სექტემბერს.

პედსადგურმა ჩაატარა პოლიტექნიზაციის ორთვიური, გაშალა სოც. შეჯიბრება და დამკვრელობა. სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოწვეულ იქნა ბათომის პედტექნიკუმი, რომელთანაც დადებულ იქნა ხელშეკრულება. ხელშეკრულების ძირითად საკითხებად აღებულ იქნა ამხ. სტალინის მითითებათა და ცკას 5 სექტემბრის დადგენილების რეალიზაცია. პედსადგურში გაიშალა სოცშეჯიბრება და დამკვრელობა ჯგუფებსა, ბრიგადებსა და მასწავლებელთა შორის, 720 მოწაფეში 310 კაცმა გამოაცხადა თავი დამკვრელად „სწავლების მაღალი თვისებისათვის", „შეგნებული დისციპლინის განმტკიცებისათვის", „აკადემიურად სუსტ და ჩამორჩენილ მოსწავლეთა დახმარებისათვის", „მეცნიერებათა საფუძვლების საუკეთესოდ შესწავლისათვის".

37 პედაგოგიდან 30 კაცმა გამოაცხადა თავი დამკვრელად, უმთავრესად შემდეგ საკითხებში: მეთოდური მუშაობის ხელმძღვანელობა, სკოლის პოლიტექნიზაცია, წ.-კ. უც. და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის ფრონტზე ბრძოლა. ოქტომბრის რევოლიუციის 14 წლის თავზე მოსწავლეთა 5 ჯგუფმა გამოაცხადა თავი დამკვრელად, გამოიყო მასწავლებელთა სამი დამკვრელი ბრიგადა. „სკოლის ორთვიურმა" პოლიტექნიზაციის ფონდში შეაგროვა 5.700 მანეთი. ცკას ისტორიულ დადგენილების („დაწყებითი და საშუალო სკოლის შესახებ") საფუძველზე პედსადგურმა გაგზავნა საქართველოს სხვადასხვა რაიონში 8 გამოცდილი მეთოდისტი, რომლებმაც ადგილებზე ჩაატარეს კონფერენციები, 1931 წ. განსახკომის მიერ გამოშვებულ კომპლექსური და პროექტული პროგრამების გაკრიტიკებისა და გაუქმების მიზნით. ამ კონფერენციებზე მასწავლებლებს მიეთითა, რომ ახალი პროგრამები აგებულ უნდა იქნეს საგნობრივ პრინციპზე და უნდა დამუშავდეს ისე, „რომ მათში უზრუნველყოფილ იქნეს დასისტემებული ცოდნის ზუსტად მოხაზვა".

პედსადგურმა თავის ლაბორატორიებში და კაბინეტებში 1 აპრილამდე გაატარონ 387 მასწავლებელი (რაიონებიდან) და 70 სტუდენტი-პრაქტიკანტი (პედინსტიტუტიდან), რომელთაც ხელმძღვანელობდენ პედსადგურის პედპერსონალის კვალიფიციური ძალები 40 დღის განმავლობაში.

სკოლის მუშაობის მაღალი თვისების მისაღწევად საგნობრივ-მეთოდურმა კომისიებმა ჩაატარეს სათანადო მუშაობა მარქსისტულ-ლენინურ საფუძველზე, პროგრამების გადახალისების მიზნით. 1932 წ. 1 იანვრისათვის პედსადგურს უკვე ჰქონდა ახალი პროგრამები საფაბრიკო - საქარხნო შვიდწლედისა და პედტექნიკუმისათვის.

პედსადგურმა განსახკომის მეთოდ სექტორის დასახმარებლად პროგრამების დამუშავებაში, საქმეში გამოყო მასწავლებელთა ხუთი ბრიგადა (აქედან რამოდენიმე ავტორი).

პირველი სემესტრის ბოლოს პედსადგურს მოსწავლეთა წარმატების საქმეში ასეთი შედეგები ჰქონდა:

| | |
|---|---|
| ოთხწლედის 1-ლ ჯგუფში | 98 პრ. |
| „ დანარჩენ ჯგუფებში | 100 პრ. |
| შვიდწლედში | 95პროც. |
| პედტექნიკუმში | 87 პროც. |

ადგილკომთან ჩამოყალიბდა საწარმოო თათბირების ცალკე ჯგუფები, რომელთა საშუალებით გარდაიქმნა სოცშეჯიბრების და დამკვრელობის საქმე საწარმოო პრინციპის საფუძველზე.

პოლიტექნიკური ბაზის გასაძლიერებლად და სოციალიზმის ყოველმხრივ განვითარებულ მშენებელთა მოსამზადებლად პედსადგურმა შემდეგი ნაბიჯები გადადგა:

1. გაჟღენთილია პოლიტექნიზმის ელემენტებით ცალკე დისციპლინების პროგრამები, განსაკუთრებით ფიზიკაში, ქიმიაში, კლასთა ბრძოლის ისტორიაში, პედაგოგიკაში და სხვა.



ტფილისის პიონერები ა.-კ.ს.ს.რ. ფედერაციის ათი წლის თავზე გამართულ აღლუმზე

2. 23.500 მან. დაიხარჯა სამუშაო ოთახის მოწყობაზე და სახელოსნოების გაუმჯობესებაზე და ინვენტარით გამდიდრებაზე.

3. მექანიზებულია სადურგლო-სახარატო სახელოსნო (სხვა სახელოსნოები ჯერ კიდევ გასულ წელს იქნა მექანიზებული).

4. დადებულია ხელშეკრულება პოლიგრაფტრესტის ლითოგრაფიასთან ორივე მხარის ვალდებულებათა გათვალისწინებით. ჩატარებულ იქნა მუშაობა წარმოებაში, რომ წარმოებას შეეგნო „სწავლების დაკავშირება საწარმოო შრომასთან უნდა ხდებოდეს ისეთ საფუძველზე, რომ მოსწავლეთა მთელი საზოგადოებრივ საწარმოო შრომა სკოლის სასწავლო და სააღმზრდელო ამოცანებს ექვემდებარებოდეს“.

წარმოებაში გატარებულ იქნა 330 მოსწ., ქარხნისა და პედსადგურის ინჟენერ-ტექნიკოსების საშუალებით ჩატარებულ იქნა 12 ლექცია-საუბარი—მასწავლებელთა და მოსწავლეთა მიერ ტექნიკის დაუფლებისათვის. წარმოებამ გაიღო 1500 მან. პედსადგურის სასარგებლოდ, აქედან 1000 მან. სახელოსნოების გასაძლიერებლად, ხოლო 500 მან.—ღარიბ პიონერთა ბანაკად გასაყვანად.

წარმოებამ მიიღო თავის თავზე საამკინძაო სახელოსნოს მოწყობა.

პედსადგურმა 1931 წლის 1 ოქტომბერს გახსნა ქარხანასთან ორი სკოლა მუშებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის, ერთი—წ.-კ. უც. და მეორე—მცირემცოდნეობის სალიკვიდაციო. ამ სკოლებში სწავლობს 80 მუშა. სკოლებში მომუშავე კულტარმიელები დაჯილდოვებულ იქნენ წარმოების მიერ.

პედსადგურის კოლექტივი აქტიურ მონაწილეობას იღებს ლითოგრაფიის წრეების მუშაობაში, კედლის გაზეთში და სხვა.

პედსადგურის ოთხწლედის მოსწავლეთა მიერ აღრიცხულ იყო სკოლის გარეთ დარჩენილი 115 ბავში, ეს ბავშები მოწყობილ იქნენ სხვადა სხვა სკოლაში.

პედსადგურმა გამოყო პედტეხნიკუმის 90 მსმენელი რაიონში წ. კ. უ. ლიკვიდაციის ფრონტზე სამუშაოდ.

პედსადგურმა თავისი ტეხნიკური პერსონალიდან 5 დამლაგებელი მოამზადა და მოაწყო მუშფაკში.

სოციალიზმის აქტიურ და შეგნებულ მშენებელთა მომზადების მიზნით პედსადგურში 1931 წლის 1-ლ ოქტომბრიდან მოეწყო შემდეგი წრეები:

1. მიმდინარე პოლიტიკის,
2. პარტისტორიის შემსწავლელი;
3. ლენინიზმის შემსწავლელი;
4. ტეხნიკის დაუფლების;
5. პროფმოძრაობის შემსწავლელი,
6. დიამატის წრე.

პედსადგური თავის გამოცდილებას უზიარებს მასობრივ სკოლებს, შეჯიბრებაში გამოწვეულს აჭარისტანის პედტეხნიკუმს და ასწორებს თავისი მუშაობის ნაკლს.

პედაგოგიური სადგური კიდევ უფრო ფართოდ გაშლის შრომის სოციალისტურ მეთოდებს, რომ მაღლა ასწიოს სწავლების თვისება, მიიღოს საუკეთესო თვისობრივი მაჩვენებლები ახალგაზრდა კადრების მომზადების საქმეში, იბრძოლებს მეორე ხუთწლედის განხორციელების საქმეში და აქტიურ მონაწილეობას მიიღებს სოციალისტური საზოგადოების შექმნაში.

**პედსადგურის სამკუთხედი.**



სომხეთის ჯგუფი საბერძნეთიდან საბ. სომხ. მიდიან. გადალ. გემზე მოგზაურობის დროს

## საგაზაფხულო თესვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომით მკლავები აღარ დგებიან,
დამკვრელი ტემპი უკვე აიღეს,
შრომას, და ცოდნას ეწაფებიან,
შენების ფრონტი რომ არ გაირღვეს.
ციდან სხივები მოდის ღვარებად,
ველზე შრომაა, მკლავთა ტრიალი,
გვიყვარს მზის მუდამ ელვარება,
ხეთა ფოთლების ნაზად შრიალი.
ირგვლივ მინდვრები გაფახტულია
მოჩანს მთები და მთის გრეხილები,
ჩალისით სავსე ჩვენი გულია,
როცა ოფლს ღვრიან შრომით გმირები.
აქ განადგურდა ყოფა ტიალი,
და დაბრკოლება ჩვენ ვერ მოგვლუნავს,
მიღწევას აჩენს მკლავთა ტრიალი.
ყველა ახალი ყოფისთვის ზრუნავს.
ვზვდებით გაზაფხულს კაჟურ ხელებით.
შრომით და ოფლით მკერდი გვაქვს სველი,
გაზაფხულია... თესვა დავიწყეთ
ვთესოთ ყოველი მინდორი ვრცელი.
კოლმეურნენო! შრომა არ ჩაქრეს,
დღეს მიღწევები ხროვად ლაგდება,
თუ ტემპს ჩამოვრჩით — ჯანი ჩაგვიხმეს,
დღეს კომუნიზმის ცეცხლი ჩაღდება!

**შ. სამადაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შირაქი იჭექებს!

## გამგზავრება

— შირაქის ნავთი!

აი ახალი წარმოება, რომელიც სხვადასხვა მოსაზრებით უთუოდ უნდა შევისწავლო. ქიზიყში ჯერ არ მიმგზავრია. ათასგვარი სიძნელე მე ლანდება გონებაში; მაგრამ რაღაც უცნაური სიხალისე მიზიდავს იქეთ — შირაქის ნავთისაკენ!

სამგზავროდ მოვემზადე. ხვალ ტფილისს დავტოვებთ. ჩემთან ერთად ჩემი მეგობარი ალე ყიასაშვილია.

17 იანვარს გავედით. ცა იწმინდება, და შემღვრეულ სივრცეში მზე კრთის. კახეთის მატარებელი ჩვეულებრივად მიიზლაზნება, და გული წყალდება ერთფეროვანებაში.

დაბინდდა.

ჩვენი მატარებელი უკანასკნელ გადასარბენზე მიქშინავს. ჰორიზონტის კიდეებს ნისლი მოედო, ალაზნის ველი მყუდროების ბურუსში ეხვევა, ხოლო თვით ჰორიზონტი წითელ სარტყელში იწვის.

საღამოს სრულ 7 საათზე წნორის წყლის სადგურზე გადმოვხტით. ჩვენ უმალვე გამოძიებას შევუდექით: არის თუ არა ავტო „წითელ წყაროში" ჩასასვლელად? (გზა 34 ვერსი) პასუხი უნუგეშოა, ყველა ამბობს, რომ ღამით ავტო არ დადის!

უკუნეთი ჩამოწვა. ცისკიდურის სა და პირზე ვარსკვლავების ჯილა ამოენთო. ცივა. მე ვგრძნობ, რომ ეს სიცივე ნესტიანია და ხაშმი. გარეთ დარჩენა საბედისწეროა. ჩემი თანამგზავრის რჩევით ღამე ზემო მაჩხაანში გავათიეთ მის ნაცნობთან.

ალიონზე წამოვხტით და ქვემო მაჩხაანს მივაშურეთ. სოფელს ისევ სძინავს, ხოლო მეეტლეთა არტელი „ქიზიყი" ხმაურობს. ისმის ცხენების თქარა-თქური, ეტლების ხმაური და მეეტლეთა ალერსიანი ოხუნჯობა.

მივედით. ნაცნობი გამოგვიჩნდა. ბაასი გავაბით.

— მაშ თქვენ „ნავთებში" მიდიხართ?

— დიახ, შირაქში!

ტერმინი: „ნავთებში" როგორღაც მეუცნაურა. ვინც ეს თქვა, ის გლეხია, ადგილობრივ მკვიდრთა წარმომადგენელი. გაკვირვებით შევეკითხე: „როგორ თუ ნავთებში?" — მან ასე მომიგო:

— რას გვიკვირდით, ეგენი ეძახიან შირზაანს, თორემ ჩვენ „ნავთებს" ვუწოდებთ იმ ალაგს. სადაც თქვენ მიდიხართ!

აი საოცრება! შირზაანი ძველი სახელია, ეგენი როგორ დაარქვეს დენ!?

ჩავუკვირდი.

„ნავთებში"! — არა ღირს გამოთქმის სისწორეზე შევჩერდეთ. ახალი წარმოება იმდენად დიდმნიშვნელოვანია, რომ ძველი სახელი უმალვე დამარხა და „ნავთების" სახელწოდებით შესცვალა.

დიახ! შირზაანის მინდვრებს დღეს „ნავთებში" ჰქვია!

ახალი წარმოება ახალ ლექსიკას ჰქმნის!

პირველი შთაბეჭდილება — წარუხოცელია!

## „ნავთებისაკენ"!

შუადღე წამოდგა. ჩვენ ისევ წნორის წყალზე ვართ, „საქნავთი"-ს კანტორის წინ. მოუთმენლად გავყურებთ სწორედ ატყორცნილ გზას და ველით ავტოს გასვლას.

ავტო მოვიდა.

გამოირკვა, რომ ავტოს მხოლოდ ნავთებზე მომუშავე ხალხი დაჰყავს. მაშასადამე ჩვენ ვერ წავალთ!

დავტრიალდით.

დავიწყეთ დიპლომატიური მოლაპარაკება. ავაფრიალეთ მოწმობები, მივლინების ქაღალდები და, როგორც იყო, გავტეხეთ შოფერის ჟინიანი ნებისყოფა.

ავტო ნახევრად საბარგოა. შუაში ორი გრძელი სკამია გამართული, ერთმანეთის ზურგშექცევით. 12 კაცი ეტევა. თორმეტის ადგილზე ცამეტი ჩავსხედით და ჭარბადა ვართ.

ავტო მოსწყდა ადგილს და ზუილით გაქანდა შარაზე.

მივდივართ.

წინ აღარაფერი გვბორკავს. რამოდენიმე საათის შემდეგ შირაქში ვიქნებით!

გული ისე სცემს სიამით, როგორც არასოდეს!

ერთხანს სრული სიჩუმეა ავტოში. რაკი წასვლა გვეღირსა. თვითეული ჩვენთაგანი კმაყოფილებით სტკბება ავტო მიჰქრის. ჩვენ კი გულდასმით ვადევნებთ თვალს განვლილ გზებს. ალაზნის არხიც გადვირბინეთ და შორეულ ბაშბის ველებს დაგავხედეთ. ალაზანი არა ჩანს — იგი ნისლების ტყვეა! კავკასიონის მწვერვალები თეთრად ბრწყინავენ. ალაგალაგ ნისლი ისე ჩანს, თითქოს მწვერვალებ შორის მოქმედი ვულკანებია და კვამლი სდით! დაცემული მინდვრები შავად იყურებიან. ზამთრის დაღვრემილი ფიქრები ჩვენზედაც



შირაქის ნავთსი კოშკი

გადმოდის და პირმოკუზილნი გავყურებთ ავტოდან ერთფეროვან ხანახაობას!

ამ ყოფით ყარაღაჩის მცირე მოსახლეობას ჩავუარეთ და მთის ხევეულებს შევუდექით. წითელ წყაროს ვუახლოვდებით. ჩემი თანამგზავრი ამ კუთხის შვილია და კარგად იცნობს აქაურ გარემოს. იგი ცდილობს ამ მაღლობებიდან დამანახოს შორეულ მთებში — თამარის ციხე. იმ დაჩეხილ კლდეებში ციხეს რა უნდა? მაგრამ არის, ყოფილა! ციხეს კი მაინც ვერ ვხედავთ! იგი გახვეულია ნისლებში. კლდეები სჩანს და უნებურად ჰკრთი: „იქ რა ამიყვანს?!"

მე ეხლა სულ სხვაზე ვფიქრობ, ძველი კულტურა იქმნებოდა ულრან მთებში და კლდის მწვერვალებზე. ეს იყო დიდი მიღწევა და გამარჯვების საწინდარი. ჩემთვის კი სწორედ ეს გარემოებაა უცნაური. მტერი რისთვის მოდიოდა? ერთი ციდა ციხისათვის თუ ამ დაცემული ველმინდვრებისათვის, მოსავლისათვის, სოფლებისათვის და ხალხის ქონებისათვის!? იმ ულრანი მთებიდან რა შეეძლო ციხე-სიმაგრეს!? რა

თქმა უნდა, სტრატეგი არა ვარ, მაგრამ მაინც მეეჭვება!

ჩემს არსებაში დასკვნა თავისით იქმნება,ძველი კულტურა მთებში იყრიდა საფუძვლებს, ახალი კულტურა კი იქმნება ბარში—ბამბის, თამბაქოს, რამის, კენაფის, ვენახის და პურეული კულტურების სახით. აქ გაჰყავთ შარაგზები, არხები, მინდვრებში ბრდღვინავენ ტრაქტორები, კომბაინები, მთის ხევულებში კი ავტოები სრიალებენ. სადაც ჩვენ მივდივართ, იქ მიწას ხვრეტენ 1500-2000 მეტ. და ილებენ საუნჯეს. აი რა უნდოდა ქვეყანას, აი რა იხსნიდა ტანჯულ ხალხს! აი მაგრამ აღარ ღირს, ეხლა ჩემთვის უკვე ნათელია თამარის პირშავი ციხე რისთვისაც იმარხავს თავს სქელ ნისლებში...

ახალი კულტურა კი კაშკაშებს მზის სინათლეში, და ქიზიყი დრტვინავს სასიცოცხლო ხმაურით!

### წითელ წყაროში

ნაშუადღევის ორ საათზე წითელ წყაროში ვართ. ეს დაბა მაღალ მთების ვაკეებზე მდებარეობს.

ავტო გარაჟისაკენ გაქანდა, ჩვენ კი შუა ქუჩაზე დავრჩით. გვინდა ვნახოთ ტრესტის მმართველი—ამხ. ბურჭულაძე. უიმისნებართვოდ სარეწაოებზე არავინ შეგვიშვებს; მაგრამ თვის 18 რიცხვია, და ყველაფერი დაკეტილია. დავღონდით, რაღა გვეშველება ეხლა? თუ ეს ღამე დავკარგეთ, ალარაფერი გამოვა. დრო ჩვენ არ გვიცდის. დავტრიალდით ნაცნობებს წავაწყდით. მათ გვირჩიეს წავსულიყავით პირდაპირ სარეწაოებზე. იქ ვნახავდით სარეწაოების უფროსს --ამხ. კერესელიძეს, სარეწაოებამდე 12 ვერსი გზა არის.

ვაი თუ ტყუილად ვიაროთ! რაც იქნება, იქნება!

გავსწიეთ.

წითელი წყარო სიგანეზე გადავჭერით' ყველგან—ნავთის სამართველო, ნავთის საწყობი, კანტორა, დახურული სასადილო, გარაჟი, ყველაფერი ნავთისაა და სჯობია, რომ ამ პატარა დაბას ნავთის დაბა ეწოდოს.

ჩვენ გავეცანით წითელი წყაროს მოსახლეობას და მინდვრიანებზე გავედით. ცას თეთრი ღრუბლები წაჰოეპარნენ. ნაგლეჯს მიუახლოვდა მთელი მთელს, ცის თაღი პირქუშად შერა და სუსხი გამოუშვა. თოვლის ფიფქები წამოეყარა ჩაშავ[illegible]-ბულ მიწას თვალები ა[illegible]. მინდვრები თეთრ სამ[illegible]. ჩვენ მოწმენი ვართ ამისი... მივდივართ და ვლახავთ ხან აღმართებს, ხან დაღმართებს წითელი წყაროდან გასულთ ჳვალწინ ორი კლოვანი ბორცვი გვაქვს აყუდებული. მე ეს კლდეები სულს მიღუთავენ. რაღაც ნაირად მგონია, რომ ამ კლდეებს უკან ჩვენ დავინახავთ მას რისთვისაც თბილისიდან წამოვსულვართ. ეს ბორცვები წმ. ილიას სახელით არიან ცნობილნი. წინად აქ 24 ივლისს დღეობა იცოდა მთელი ქიზიყი აქ იყრიდა თავს და იცხრობდნენ ცრუმორწმუნეობის ჟინს. მართლაც აღმოსავლეთ ბორცვზე მოჩანს პაწაწინა ეკლესია გაშავებული ჯვრით.. ისევ ჯვარი!

ნახევარი საათის სიაროლის შემდეგ რუხ მონაცრისფერო ბორცვებს უკანიდან ჟიმოვუარეთ. უმალვე გამოჩნდა დაცემული მოედნები და მოშორებით ერთმანეთის მიმყოლი გორები და ისიც. ცის ტატნობთან



დნეპროსტროი. ჯებირი და ამწევი

იკრა. საიდანაც ქვევმა ნიავმა დაბეორი გორაკის რელიეფს შუა რკინის კოშკი! შიშველ გორაკზე იგი ისე დგას, როგორც დარაჯი, მეთვალყური — ნავთი, ნავთი! მაგრამ სივრცე და ჩვენი თვალები გვატყუებენ. ის კოშკი არც ისე ახლოა, რომ ხელით წაეპოტინო ან ხმა მიაწვდინო.

ხალისი მოგვემატა.

ნაბიჯს უმატეთ. ის პირველი კოშკი ხან გვემალება, ხან კი ისევ გამოჩნდება და ფრთებს გვასხამს. მაგრამ რატომ ჩანს ერთი? ჩვენ აკი გვეუბნებოდნენ ბევრიაო!?

ვიმსჯელეთ. დაიასლიენით: აი ის, ირიბად გაწოლილი მთა გვიმლის, იმის მეორე მხარეს იქნება ბლომად. წყეული მთა!

ცა უფრო იპირქუშება. საცაა დაღამდება. რკინის კოშკი თვალიდან დაგვეკარგა. ჩვენ უკანიდან უვლით მთებს. თოვლი იფერთლება. თუ მან ბილიკი წაშალა, ჩვენ გზა დავკარგეთ. ვერსნახივრიანი აღმართი ავიარეთ, მინდვრებზე გავედით და გეზად გავსწიეთ.

— ეს სულ მირზანის მინდვრებია, მათი საბრძანებელი, — მიხსნის ჩემი თანამგზავრი, ვინ იცის მირზაანიც არ არის. მაგრამ ასე ეძახიან, ჩვენ ერთბაშად მარჯვნივ მიუხვიეთ და გრძლად დაქანებულ ვაკეზე გავედით. მაგრამ ეხლა ვაკე აღარავის აგონდება. ჩვენს თვალწინ მთელი სანახაობაა! დაცემულს ფერდობებზე მოჩანს შენობების მთელი კუნწულ კვაძლის ნაწნავებით! ირგვლივ მაღლობებზე და დაბლობებზე კი — რკინის კოშკები. ჩვენ ვითვლით 16-მდე. ჩვენს აღფრთოვანებას საზღვარი არაა აქვს. სულ რაღაცა ორი წელიწადია, და ამდენი კოშკი, რომიომა ჯადოსანმა წამოდგა! რა ტკბილი განცდაა! დღემდე მდებარე შირაქი აქ ახალ დიდებას ჰქმნის. გაივლის წლეები და ველურ შირაქზე მოგონებაღა დარჩება!,

ნაბიჯს უფრო ავუჩქარებთ, ვუახლოვდებით და თანდათან უფრო მკაფიო ხდება რკინების, დინამოების, ბურღების და შემომქმედი მასის ხმაური, გუგუნი და შრომის გმინვა..

ჩვენ ველარ ვითმენთ, გვინდა ამ გარეგნულ სიდიადეს გულში ჩავწვდეთ, მისი შინაარსი გავიგოთ, შევისწავლოთ და დავცხროთ. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, ამ სარეწაოების შინაარსმა შექმნა ესოდენ დიადი გარეგნული ფორმა. რა ხდება იქ? — აი კითხვა, რომლის წინაშე[…] გულ[…] უცემს ველურ შირაქს, თვალები ახ[…] ლილ ქიზიყს, დინჯ[…] მთელ[…] საქართველოს.

[… ბიბლიოთეკა]

ჩვენ ლამის გავრბივართ... მწყემსე[…] ბის ფარეხებს გვერდზე ჩავუარე[…] ხევში ჩავედით, შემდეგ 80 გრადუ[…] სიანი აღმართი ავლიეთ და სარეწა[…] ოების ტერიტორიაზე დავადგით ფე[…] ხი. ცალი მხრიდან საურმე გზა ამო[…] დის და პირდაპირ მუშათა ბარაკებ[…] ში იჭრება. ჩვენ ამ გზას დავადექით[…] ათიოდე საჟენის მანძილზე უზარმა[…] ზარი კოშკი დგას მივედით, ვნახეთ[…] კოშკის ჩონჩხი ერთიანად გაშავებუ[…] ლია, თითქოს განგებ მაზუთით შე[…] ულებიათო.

— ნავთს ამოუხეთქავს!—დავასკვ[…] ნით და მოვშორდით.

სარეწაოების კანტორამდე კითხვ[…] კითხვით მივედით

ეკითხულობთ ამხ. კერესელიძე[…] დამლაგებელმა ქალმა მოგვიყვანა ხ[…] ვის პირზე პაწაწინა, ეულ ბარაკთან[…]

— აქ ცხოვრობს.. დაუკაკუნეთ[…] და გაგვშორდა.

**ს. მთვარაძე.**

(გაგრძელება იქნება)



…ნკანი მარცხენა მხრიდან

[library stamp]

# წორჩ პიონერთა ცენტრალური ბიუროს და სას.-სამეურნეო სადგურების დადგენილებანი პიონერთა მასებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

### გავაძლიეროთ პიონერთა მონაწილეობა თესვის კამპანიაში

### ვიბრძოლოთ თესვის გეგმების შესრულებისა და მოსავლიანობის მაღალი ხარისხისათვის

ამხანაგებო! ხუთწლედის ოთხ წელში შესრულების საქმეში გაზაფხულის თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

სწორედ აქეთკენ რაზმავს ცენტრალური ბიუროს და სასოფლო - სამეურნეო სადგურის დადგენილება პიონერთა და პიონერ - ორგანიზაციების ყურადღებას.

გაზაფხულის თესვის კამპანიაში პიონერ - ორგანიზაციებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ. ბავშთა კომუნისტურმა ორგანიზაციებმა უნდა შეასრულონ თავიანთი მონაწილეობის გეგმა თესვის კამპანიაში. ეს გეგმები დაყვანილ იქნეს ძირეულ რგოლებამდე და თვითეულ პიონერამდე.

ამ მუშაობაში,— ნათქვამია დადგენილებაში, — ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული სოცშეჯიბრება და დამკვრელობა ბაზებსა და რგოლებს შორის. მთელი მუშაობა უნდა ჩატარდეს ამხ. სტალინის 6 მითითების რეალიზაციის საფუძველზე.

რა პრაქტიკული დახმარება უნდა გაუწიონ პიონერ - ორგანიზაციებმა თესვის კამპანიას?

მონაწილეობა მიიღონ სათესლე ფონდების მთლიანად შეგროვებაში. იარაღ-მანქანების აღრიცხვა - შეკეთებაში, თესლეულის დარკვევა-გაწმენდაში, გამწევი ძალის მიზანშეწონილად გამოყენებაში და სხვ.

უნდა ჩამოყალიბდეს პიონერთა ბრიგადები. თვითეული ბრიგადა გარკვეულ საქმეს უნდა აკეთებდეს.

პიონერთა ახსნა - განმარტებით მუშაობაში ფართოდ უნდა ჩააბან აგრო და პედაგოგიური ძალები. აგროძალებმა ჩაატარონ საუბრები ბავშთა მონაწილეობის შესახებ გაზაფხულის თესვის კამპანიაში. რგოლებში და ბაზებში უნდა მოეწყოს კითხვა - პასუხის საღამოები, გამოიცეს კედლის გაზეთები, გავრცელდეს ჟურნალ - გაზეთები და თესვის ლიტერატურა, თესვის კამპანიაში ჩაბმულ იქნენ ქოხ - სამკითხველოები და სხვ.

ამ მუშაობის ჩატარებაში ფართოდ უნდა ჩაებან ბავშკორები, რომ



ყარაია. ტრაქტორების რაზმი საბჭოთა მეურნეობის ბამბის დასათესად მიწას ხნავს

ლებმაც კედლის გაზეთებში სისტემატიურად უნდა გააშუქონ თესვის საკითხები.

პიონერ - ორგანიზაციებმა ყოველგვარი ზომები უნდა მიიღონ თესვის გეგმის ვადამდე და გადაჭარბებით შესასრულებლად. აღმოსავლეთ საქართველოში მიწის თხილის თესვა უნდა დამთავრდეს 10 მაისამდე, დასავლეთ საქართველოში კი 5 მაისამდე.

პიონერებმა აგილობრივი ნიადაგის გათვალისწინებით უნდა შეარჩიონ მიწის თხილის კარგი ჯიში.

დროზე უნდა იქნეს შერჩეული მიწის თხილის სათესლე მასალა, რომ თესვა დროზე დაიწყოს.

თესვის კამპანიასთან დაკავშირებულმა მუშაობამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოიწვიოს სასოფლო პროგრამის დარღვევა.

პირიქით, — ნათქვამია ცენტრალური ბიუროს დადგენილებაში, — მთელი ეს მუშაობა უნდა ჩატარდეს სკოლის მუშაობასთან მჭიდრო კავშირის დამყარებით, უნდა ხდებოდეს პრაქტიკული სამუშაოები. შესრულება კოლმეურნეობებში იმ მიზნით, რომ მან ხელი შეუწყოს სკოლაში შეძენილი თეორიული ცოდნის გაღრმავებას.

როგორც ბავშთა კომუნისტური ორგანიზაციის ცენტრალური ბიუროს დადგენილებიდან ჩანს, ამხანაგებო, პიონერთა ორგანიზაციის წინაშე გაზაფხულის თესვა მთელ რიგ ამოცანებს აყენებს. საჭიროა პიონერ - ორგანიზაციებმა მტკიცედ განახორციელონ ეს დადგენილება. სასოფლო - სამეურნეო სადგურებმაც ისე უნდა გარდაქმნან მუშაობა, რომ უზრუნველყოფილ იქნეს თესვის გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება.

### თელავის ბ. კ. ო. რაიბიუროს მონაწილეობა საგაზ. სასოფ.-სამეურნეო თესვაში.

ბ.კ.ო. თელავის რაიბიურომ სხდომაზე დაამუშავა საკითხი საგაზაფხულო თესვის კამპანიის მნიშვნელობის შესახებ და მიიღო პრაქტიკული დირექტივები მასში პ.-ორგანიზაციის მონაწილეობის შესახებ.

აღნიშნული დირექტივები დამუშავებულ იქნა თელავისა და მის მახლობელ პ.-რაზმების ხელმძღვანელთა და საბჭოს წევრების თათბირზე. საკითხის დამუშავების შემდეგ პიონერ-რაზმები შეუდგენ პრაქტიკულ მუშაობას.

ასეთივე სახის თათირები მოწყობილ იქნა წინანდალში, ვანდალაში, ზ.-ხედაშენში, ნაფარეულში, ფშაველში და სხვაგან.

პიონერ-რაზმებმა და კოლმეურნეობას შორის დადებულია ხელშეკრულება.

ადგილებზე პიონერ-რაზმების მიერ გაკეთებულია შემდეგი: აღრიცხული და შემოწმებულია მანქანა-იარაღების ვარგისიანობა, პიონერების ძალებით გაწმენდილ და დახარისხებულია კოლმეურნეობაში თესლი, ტარდება გაზეთების ხმამაღალი კითხვა, ეწყობა საღამო-წარმოდგენები და სხვა, მოწყობილია მასობრივი შაბათობები ყველა პიონერ-რაზმში, კოლმეურნეობის

ქვრივ-ობოლთა და უღარიბესი გლეხების დასახმარებლად. აღებულია შეფობა კოლმეურნეობის გამწევ ძალაზე, მოწყობილია საქონლის ბინების სანიტარული ზრუნვა და საკვების დაგროვება.

პ.-ორგანიზაციამ დაიწყო მზადება სასილოსე მშენებლობისათვის, მაგრამ ამ მუშაობას ჩამორჩენ სოფელ ყარაჯალას, ახტალის, გულგულის, ვარდისუბნის, კურდღელაურის და შალაურის პიონერთა რაზმები და თელავის ქარხნის პირველი ბაზა.

საჭიროა ჩამორჩენილ პიონერ-რაზმებს პრაქტიკული დახმარება გაუწიოს თელავის რაიონულმა პ.-ბიურომ.

მოწინავე პიონერთა რაზმებო, აიყვანეთ პიონერთა ბუქსირზე ჩამორჩენილი პიონერ-რაზმები!

## რას გვწერენ ხონის რაიონიდან

ხონის ბ.კ.ო. რაიბიურომ დროულად დააყენა ყურადღების ცენტრში მესამე ბოლშევიკური საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩატარების ამოცანები, რისთვისაც ჯერ კიდევ თებერვალში რაიბიუროს სხდომაზე დამუშავდა ეს საკითხი და შედგა სამოქმედო გეგმა.

საგაზაფხულო თესვის კამპანიის გეგმები დაყვანილ იქნა თვითეულ რაზმამდე, რგოლამდე და პიონერამდე. აღნიშნული საკითხის უკეთ ჩატარებისათვის მიმაგრებულ იქნა პ.-რაზმებზე ცხრა ამხანაგი. პიონერ-რაზმებში გამოყოფილია დამკვრელი ბრიგადები, რომლებიც კოლმეურნეობებში აწარმოებენ გაზეთის ხმამაღალ კითხვას, საღამო - წარმოდგენებს და სხვ. მოწყობილია 7 შაბათობა კოლმეურნეობაში ფართობის გასაწმენდად. ს. გუბის პიონერთა რაზმმა არხების გასაწმენდად მოაწყვეს ორი შაბათობა,, სადაც მონაწილეობას ღებულობდა 80 პიონერი და გაწმინდის 200 საჟენი არხი.

სარწყავი არხების გაწმენდის კამპანიასთან დაკავშირებით მოეწყო შაბათობა 60 პიონერის მონაწილეობით, გაწმენდილ იქნა 120 საჟენი ახალი არხი.

პიონერთა რაზმებს აღებული აქვთ შეფობა კოლმეურნეობათა მანქანა - იარაღებზე, ისინი სწმენდენ მანქანებს და სხვ. პიონერები აქტიურად იბრძვიან გაზაფხულის თესვის კამპანიასთან დაკავშირებით ტექკულტურების განვითარებისათვის, რისთვისაც ქალაქის ხუთი რაზმის მიერ აღებულ იქნა 8 ჰექტარი ჩაის ფართობი.

ტიხნიკური კულტურების განვითარებისათვის და გეგმების შესრულებისათვის სოთლის პიონერრაზმებიც აქტიურად იბრძვიან, მაგალითად: ივანდიდის ვოროშილოვის სახელობის პიონერთა რაზმს აღებული აქვს ნახევარი ჰექტარი ჩაის ფართობი კოლმეურნეობაში. ს. კუხის პირველ და მეორე რაზმებს—ერთნახევარი ჰექტარი, ნახახოლევის პიონერთა რაზმს—ნახევარი ჰექტარი და სხვ. კოლმეურნეობებში გაერთიანებულია პიონერების 1250 მშრომელი.

აღნიშნულ მიღწევებთან ერთად ხონის რაიონის პიონერ - რაზმებს საგრძნობი ნაკლიც აქვთ, მაგალითად: სუსტი ყურადღება ექცევა 1932 წლის აბრეშუმის თესლის დაკონტრაქტების საკითხს, პიონერები ნაკლებად იბრძვიან თესლეულის შეგროვებისა, მისი გაწმენდისა და შეწამვლისათვის და სხვა, რისთვისაც საჭიროა ეხლავე იქნეს მიღებული სათანადო პრაქტიკული ღონისძიებები.



## პიონერებო, მესამე ბოლშევიკური გაზაფხულის ხვნა-თესვა დაიწყო!

საქართველოს მთელ რაიონებში მასიური თესვა უკვე გაიშალა.

მიმდინარე გაზაფხულის სასოფლო - სამეურნეო კამპანია მთელ რიგ ამოცანებს აყენებს პიონერთა ორგანიზაციების წინაშე.

პიონერი თესვის ფრონტის დამკვრელი უნდა იყოს. პიონერ - კოლექტივებმა და ბაზებმა ფართო მუშაობა უნდა გაშალონ თესვის გეგმების შესრულების დასახმარებლად.

საჭიროა ადგილებზე გავაძლიეროთ ახსნა -განმარტებითი მუშაობა კოლმეურნეთა და ღარიბ - საშუალო გლეხთა ფართო მასებში. თვითეულმა პიონერ-კოლექტივმა, თვითეულმა პიონერმა და ოქტომბრელმა უნდა აუხსნას მშრომელ გლეხობას გაზაფხულის თესვის სამეურნეო - პოლიტიკური მნიშვნელობა.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ინდუსტრიალიზაციის შემდგომი გაშლა, სოფლის შემდგომი სოციალისტური გარდაქმნა დამოკიდებულია თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარებაზე.

ამიტომ ამ კამპანიის ბოლშევიკურად ჩატარებას პიონერ - ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ. უნდა შედგეს საგაზაფხულო თესვის კამპანიაში. პიონერთა მონაწილეობის კონკრეტული გეგმები. ეს გეგმები უნდა დამუშავდეს ბაზების კრებებზე და სხ. (თესვის პერიოდში უნდა მოვაწყოთ დახმარების გაწევა კოლმეურნეობებისათვის).

თესლის დახარისხება - შერჩევა, შეწამვლა, მიწების განაყოფიერება პატივით, აგროტექნიკური პროპაგანდა, საზოგადოებრივი კვების მოწყობა მინდვრად, ტრაქტორებისა და სასოფლო - სამეურნეო იარაღ - მანქანების სრული დატვირთვა, — აი რისთვის უნდა იბრძოლოს თვითეულმა პიონერმა.

საგაზაფხულო თესვის კამპანიაში მჭიდროდ უნდა დაუკავშიროთ კოლმეურნეობების სამეურნეო - ორგანიზაციულ და პოლიტიკურ განმტკიცებას. საკავშირო კომპარტიის (ბოლშევიკების) ცეკამ თავის 4 თებერვლის დადგენილებაში მოგვცა დირექტივები კოლმეურნეობების განმტკიცების შესახებ.

საგაზაფხულო თესვის ფრონტზე ბრძოლის წარმატებებს სწყვეტს მუდმივად შედგენილი საკოლმეურნეო ბრიგადა, ამიტომ ბრიგადის განმტკიცებას უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს. უნდა მოვაწესრიგოთ შრომის აღრიცხვა, თითეულმა ბრიგადირმა უნდა იცოდეს რა უნდა გააკეთოს მან. კოლმეურნეობათა მთელ

# სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაცია

(დასასრული[1])

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## რაში მდგომარეობს ელექტრომოძრაობის უპირატესობა?

რა უპირატესობით სარგებლობს ელექტრომოძრავი, რომელიც ორთქლმავალს აძევებს არა მარტო სურამის უღელტეხილზე, არამედ საერთოდ რკინის გზიდანაც?

ორთქლმავალი ნაკლებად ეკონომიური მანქანაა. გავითვალისწინოთ ის, თუ რამდენ სითბოს ჰკარგავს ორთქლმავალი მხოლოდ მაშინ, როდესაც ის არავითარ მუშაობას არ ასრულებს და მხოლოდ ორთქლის ქვაბის კედლებს ათბობს. ორთქლმავალზე დღემდე შერჩა ის ძველი ორთქლის ქვაბი, რომელიც ნაკლებად იყენებს სათბობ მასალას.

ელექტრომოძრავი (ანუ ელექტრომზიდავი) გაჩერების დროს არ საჭიროებს ელდენს. ელექტრომზიდავი სარგებლობს იმ ენერგიით, რომელსაც ვღებულობთ ცენტრალურ სადგურში, სადაც დაყენებულია სათანადო ეკონომიური ეფექტიანობის ქვაბები და ორთქლის ტურბინები.

თუ ორთქლმავალი თავის საკვებ მასალად თხოულობს უმთავრესად მაზუთს, ანდა მაღალი ხარისხის ქვანახშირს, ელექტრომზიდავი ღებულობს ელსადგურებში მიღებულ ელდენს, რაც იაფი ჯდება, რადგან სადგური მუშაობს ადგილობრივი იაფი სათბობი მასალით, ხოლო ამიერკავკასიაში კი წყლის ენერგიით.



ელექტრომზიდავი, რომელსაც არც ტენდერი აქვს და არც ორთქლის ქვაბი, ელდენს ღებულობს მავთულის საშუალებით, როგორც ქალაქის ტრამვაი, და შიგ მყოფი ელექტროძრავების საშუალებით ანვითარებს სხვადასხვა სისწრაფეს იმის მიხედვით, თუ როგორი სისწრაფეა საჭირო. საჭირო არ არის ელექტრომზიდავი თვით დიდი მოცულობის და წონისა იყოს. მიუხედავად მის სიმსუბუქისა, მას შეუძლიან უდიდესი სიძლიერე განავითაროს. ელექტრომზიდავზე შეგვიძლია მოვაწყოთ რამდენიც გვინდა ძრავი და თვითეული მათგანი დავაბაგროთ განსაკუთრებულ ღერძზე, ორთქლმავალს კი ერთი ძრავი აქვს და მით დამაყოფილდება ექვსი ღერძი. ორთქლმავალი ნელა მოსიარულეა, ძლივ-ძლივობით ბობღავს აღმართებზე. ელექტრომზიდავი კი მძლავრად და სხარტად აივლის აღმართს, გორებში იჭრება მსუბუქად და სწრაფად მიდის, ორთქლის მატარებელი კი იმდენად ნელა მიდის რომ მგზავრს თავისუფლად შეუძლიან ჩამოხტეს და აღმართში მატარებელს ოდნავ არბენილი გაყვეს ელექტრომზიდავის სწრაფი და მძლავრი მოძრაობის წყალობით შესაძლებელი ხდება მოძრაობის უფრო მეტად განვითარება, მატარებელთა რიცხვის ზრდა. სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაცია საგრძნობლად წინ წასწევს ჩვენი ტრანსპორტის გეგმის განხორციელების საქმეს.

ორთქლმავალი საჭიროებს ადამიანთა დიდ რიცხვს, ხშირად საჭიროებს შეკეთებას, ღებულობს სათბობ მასალას.

ელექტრომზიდავი კი საჭიროებს მხოლოდ ერთს, იშვიათად ორ კაცს მემანქანეს, იშვიათად ზიანდება და ენერგიას ღებულობს მხოლოდ მაშინ, როდესაც აღმართში მიემართება. თავდაღმართზე ჩამოსვლის დროს ელექტრომოტორები უბრალო საკეტით გადადიან დინამომოტორზე. ამ მოტორებს ერთი და იგივე მოწყობილება აქვთ. და დაბლისაკენ მოძავალი ელექტრომზიდავი თვით იკვებება ელდენით, რომელსაც დინამომოტორში ღებულობს.

აქედან უაღრესად დიდი ეკონომიაა, რომლის მოცემაც არ შეუძლია არასოდეს ორთქლმავალს.

ელექტრომზიდავის ეს უპირატესობა და აგრეთვე სხვა, როგორც, მაგალითად ლითონის ეკონომია, ვზას უკაფავს მას და იგი გამარჯვებული გამოდის ორთქლმავალთან მეტოქეობაში.

საკავშირო კ.პ. (ბ) მე-16 პარტყრილობაზე მიღებულ რეზოლიუციაში ვკითხულობთ, რომ: „ძირითადი რგოლი ტრანსპორტის რეკონსტრუქციაში მისი განვითარების პერსპექტივის თვალსაზრისით არის ელექტრომზიდავი“.

რა გზით უნდა დაკმაყოფილდეს გზა — ხაზი ელდენის ენერგიით?

სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაცია სრულიად და სავსებით ემყარება საქართველოს მდინარეთა მდიდარ ბუნებას: ზაჰესი, რიონჰესი. ეს ორი მსხვილი ჰიდროსადგური ურთიერთს დაუკავშირდებიან მაღალძაბვის ხაზით, რომლის, სიმძლავრე იქნება 110,000 ვოლტი. სამი ქვესადგური რომლებიც მოთავსდებიან მონაპირე სადგურებს შუა, გადაამუშავებს ცვალებად ელდენს მუდმივ ელდენად. ეს მუდმივი დენი (300 ვოლტის ძაბვის პირობებში).

დახარჯული იქნება კონტაქტური მავთულებისათვის. მავთულებიდან დენის გამოღება სწარმოებს მსრიალავი დენმიმღებით — ე. წ. პანტოგრაფით.

მეტად საინტერესოა საუღელტეხილოზე თვით კონტაქტური ქსელის მოწყობილობა. ჩვეულებრივად, ჩვენ მივეჩვიეთ ვუყუროთ ტრამვაის კონტაქტური მავთულების უბრალო ჭიმვას ბოძებს შორის.

---

მუშაობა უნდა გარდაიქმნას ამხ. სტალინის 6 ისტორიული მითითების საფუძველზე.

უნდა მოისპოს გაუპიროვნება (ბრიგადის თვითეული წევრი უნდა მიემაგროს განსაზღვრულ მანქანაიარაღებზე; მიწის ნაკვეთებზე, მუშა საქონელზე და მტკიცედ გატარდეს სანადრო სისტემა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თესვის კამპანია მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს კოლმეურნეობების განმტკიცებას. აი სწორედ ამისათვის უნდა გაშალონ მუშაობა პიონერებმაც.

კოლმეურნეებს და ღარიბ - საშუალო გლეხებს ფართოდ უნდა გავაცნოთ საკავშირო. კომპარტიის (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის და სამხარეო საკონტროლო კომისიის მე-4 პლენუმის დადგენილებები თესვის შესახებ.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას 4 თებერვლის დადგენილება უნდა გავაცნოთ თვითეულ კოლმეურნეს. ღარიბ და საშუალო გლეხს.

[1]) იხ. ჟ. პიონერის № 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ეს ხერხი ჩამოკიდვისა შეიცავს იმ მნიშვნელოვან ნაკლს, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ მავთული ჩამოზნექილია შუა ადგილას და დენმიმღები სწრაფი მოძრაობის დროს ვერ ასწრებს თვალყური ადევნოს მავთულის ჩაზნექილობას, საშუალება არა აქვს მაგრად მიებჯინოს მას და ამით მოგვცეს სათანადო კონტაქტი. სწორედ ცუდი შეხებით დენმიმღებისა მავთულთან წარმოიშვება, ხოლმე ყველასათვის ცნობილი ულტრა - მოლურჯო ფერის ნაპერწკლები, რომელიც ეგრე ხშირად ხდება ხოლმე ტრამვაის სახურავზე. ეს მოვლენა არის ეგრედწოდებული **ვოლტის რკალი.**

მაგრამ ეს არც ისე საშიში მოვლენა არის ტრამვაისათვის. იქნებოდა უდიდესი უბედურება, ამას ადგილი რომ ჰქონდეს რკინის გზაზე, სადაც მოძრაობის სისწრაფე დიდია, ხოლო დენი, რომელიც პანტოგრაფში შედის, რამოდენიმე ათეულით მეტია.

ამიტომ მავთულთა უბრალო ჩამოკიდვის ნაცვლად რკ. გზაზე ეწყობა მავთულის ჯაჭვური ჩამოკიდება. იგი შესდგება ორი მავთულისაგან: 1) ზევითა თოკმავთული, რომელსაც მეტი დაზნექილობა ეძლევა და 2) თვით საკონტაქტო მავთული, რომელიც ჩამოკიდული თოკმავთულზე მრავალრიცხოვან სიმებით.

ამ სისტემით მუშაობს თითქმის ყველა მსხვილი ელექტრო რკინის გზა. თუ მოსკოვის პიონერებს შეუძლიანთ დაათვალიერონ ეს სანახაობა ჩრდილოეთის ხაზზე, ბაქოელ პიონერებს — საბუნჩის ხაზზე, ჩვენი რესპუბლიკის პიონერებს შეუძლიანთ ზემოთქმულის თვალნათლივ შემოწმება სტალინისიდან ზესტაფონამდე.

## ელექტრომზიდავი — 250 ცხენის ძალით

თვით ელექტრომზიდავი პატარა არ არის, ის 15 მეტრამდე იქნება. მაგრამ სიგრძე ამართლებს თავის დანიშნულებას. დაუზარელია ის, ელექტრო მზიდავთა სიმძლავრე უდრის თითქმის 2000 კილოვატს (ე. ი. 2500 ცხენის ძალას), რაც სიმძლავრით უდრის ერთ დიდ სამაზრო ქალაქის ელსადგურს.

ელექტრომზიდავზე დაიდგმევა 13 ელექტრო - მანქანა, მარტო მოტორები, რომლებიც მოძრაობაში მოიყვანენ ელექტრო მზიდავის თვლებს, იქნება 6, თვითეული 300 კილოვატის სიმძლავრით. დანარჩენი მანქანები სამსახურს გაუწევენ



**სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციისათვის მუშათა საცხოვრებელ სახლების საამშენებლო მუშაობა**

ჰაერის შემოწუწნის საქმეს— საშუხრუჭე სისტემას (მანქანა - კომპრესორი) და დამხმარე სამუშაო დენის მიღებას. (მანქანა - გენერატორი) ამ მანქანათა შორის ზოგიერთი ძალზე დიდი ღონის მქონეა, მაგალითად 2 სავენტილაციო (სანიავო) მანქანის აგრილებლად, რომლებსაც ექნებაათ 20 კილოვატი (27 ცხენის ძალა).

მიუხედავათ იმისა, რომ ელექტრომზიდავის კონსტრუქცია საკმაოდ რთულია, მისი მოძრაობისათვის სრულიად საკმარისია 2 კაცი.

უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად ელექტრომზიდავზე არის მოწყობილობა, რომელიც ავტომატიურად აჩერებს მატარებელს, და კეტავს მთელს მექანიზმს. ამ ხელსაწყოებს ეწოდება „მკვდარი ადამიანის სახელური“, გარეგნულად უკანასკნელი წააგავს ჩვეულებრივი ტრამვაის საკონტროლო სახელურს, რომელსაც ამოძრავებს ვაგონმმართველი და მოთავსებულია ისევე, მხოლოდ ტრამვაის ხელსაკიდისაგან იმით განსხვავდება, რომ „მკვდარი ადამიანის სახელურს“ აქვს ზამბარაკი, რომელსაც წაყვანის დროს აწვებიან.

საკმარისია მემანქანემ მხოლოდ წამით აიღოს ხელი, რომ ზამბარაკმა გააკეთოს სათანადო ჭიმვა და ნაწილოთა დაშორება მყისვე მოხდება ჯაჭვის გაწყვეტა, მოტორები დაკეტილი იქნება, მუხრუჭებში შევა ჰაერი და მატარებელი წამში გაჩერდება.

ყოველივე ეს მოხდება ისე სწრაფად, რომ მოფიქრებასაც ვერ მოასწრებ.

სურამის უღელტეხილს ელდებს მოაწვდის ზაჰესი, რიონჰესი — ამიერ-კავკასიის ეს ორი სიამაყე.

ზაჰესიდან კლდე-ღრეებზე, გორებზე, უღელტეხილზე, კავკასიონის მთების ერთ - ერთი შტოსაკენ მიიმართება ყოვლის შემძლე ელდენი და მალე სულ მალე ააქროლებს ორთქლმავალზე გამარჯვებულ ელექტრომზიდავს.

როცა უცხოელები უღელტეხილის ნამუშევრებს ეცნობოდენ, ისინი გაოცებას ეძლეოდნენ და კითხულობდნენ: — ამ მიუვალ გორებზე როგორ აიტანეთ ეს რკინის ბოძები.

ჩვენ ეგ არ გვაკვირვებს, რადგან ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასმა ბევრი საგმირო საქმე გააკეთა და რაღა გასაკვირველია, თუ ამ მიუვალ გორებზეც დადგეს ელექტრო-მავთულის მაღალი ბოძები, რომლის ზურგზედაც გადაივლის უმაღლესი ძინვის ელდენი.

ახლა უღელტეხილზე გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს. ქსელი თითქმის მზად არის. მზადდება ქვესადგურები. ებრძვიან გასულ წლების დაკარგული ტემპების დანაკლისს, რათა 1932 წლის შემოდგომას გასრიალდეს პირველი ელექტრომზიდავი უღელტეხილის დაკლაკნილ, აღმართ-დაღმართიან გზებზე.

საშა.



# გაღვიძებული დედამიწა

(გაგრძელება[1])

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩვენ ვიცოდით, რომ ყოველგვარი დალბობა იწვევს სტიმულს მხოლოდ იმ მცენარის თესლზე, რომელსაც საზოგადოდ ვრცელი პერიოდი არ სჭირდება დასამწიფებლად, მაგრამ ძალიან ნელა, ამოდის,—თქვა სიმონმა; — ამნაირი მცენარეებია ყაყაჩო, ჭარხალი, სალბი. ვიცოდით პროფესორ მაქსიმოვის ცდები ლენინგრადში. მან ამოჰყარა თესლი შაქრის ხსნარში. ვიცით აგრეთვე, გამოყენებითი ბოტანიკის ინსტიტუტის ცდები მურმანზე ჩქარ მოსავლიანი სასოფლო - სამეურნეო კულტურების გავრცელებას თან ერთად, მაგრამ ჩვენ დაგვაინტერესა აი რამ: ლენინის სასოფლო - სამეურნეო აკადემიის ფიზიოლოგიურ ლაბორატორიაში წარმატებით ჩატარდა შვრიის სწრაფი ზრდის ცდა რენტგენის სხივების ზეგავლენით: საკმაო იყო რენტგენიზაციის ორი სეანსი, რომ შვრიის ღეროები 14 დღით ადრე ამოსულიყო. ეს პირველი. პეტერგოფის საბუნებისმეტყველო - სამეცნიერო ინსტიტუტში მოახდინეს ნიადაგის ჰაერით გასუქების ცდა. ნახშირმჟავის მიმატება მცენარეების ირგვლივ ჰაერში მცენარეების ამოსვლას 50 პროცენტით აღიდებდა. პროფესორი ჰარვეი კი ამერიკის ქალაქ მინოზეტაში თავის ლაბორატორიაში უმატებდა ჰაერს ეტილენს, შემდეგ ერთ ნაწილ აირს იღებდა ათას ნაწილ ჰაერზე, და მწვანე ბანანი ორ დღეში მწიფდებოდა.

— ყოჩაღ, ახალგაზრდა ბოტანიკოსებო! თქვენ გცოდნიათ სამეცნიერო ლიტერატურის კითხვა, წარმოთქვა ბაშმეტოვმა, — როგორ მოიხმარეთ თქვენი ცოდნა საქმისათვის?

— აი როგორ, — ყმაწვილებმა ბაშმეტოვი ფანჯარასთან მიყვანეს,

— ჩვენ ვიღებდით სხვადასხვა მცენარის თესლს. ვალბობდით და რადიო - გადამცემის ახლოს ვთესავდით აღმოსაცენებლად. აი აქვე მუშაობს მოკლე ტალღები. ჩვენი აზრით, მოკლე ტალღები აჩქარებენ თესლის ამოსვლას. მაგრამ კიდევ ვაპირებთ ამის დამუშავებას. შემდეგ აი აქ არის მინის ორი ყუთი. ჩვენ პაწაწა ნერგებს ვათავსებდით ქილაში, რომელშიაც გვქონდა სხვადასხვა სასუქი. ცხრილი აი აქ კედელზე ჰკიდია. ქილებს ვდგამდით ყუთებში და ტიმირიაზევის უბრალო ხელსაწყოთი ვსარგებლობდით. ამოსული მცენარის წვეროს ვუერთებთ აბრეშუმის წმინდა ძაფით პაწია ოწინარს. ოწინარის მეორე ბოლოზე ვამაგრებდით პატარა სარკეს. მცენარე იზრდება მაღლა, ოწინარის ბოლო სარკით ეშვებოდა ძირს, ეშვებოდა ბლიკიც.

— სანამ პირდაპირ თვალებში არ მეცა, როდესაც ისიც იყო გაზეთის წასაკითხავად დავჯიქი გამოსასვლელ დღეს,—გაილიმა ბაშმეტოვმა. —ბლიკები კარგია, ძალიან მოგიფიქრებიათ, ყმაწვილებო. ყოველი მილიმეტრი, რომელიც გამოისახება კედელზე ბლიკით, თითო მეტრს ნიშნავს.

— სამკუთხედის თეორემის მიხედვით,—ჩაურთო სიტყვა კირილემ იმის დასამტკიცებლად, რომ მასაც ესმის ცოტა რამ,—მე ეს, ბოდიშს ვიხდი, ნახატზე გამოვიყვანე.

კირილემ გაშალა ქაღალდის ფურცელი. ზედ უხეიროდ იყო დახაზული, მაგრამ მაინც გაიგებდით.

ახალგაზრდა ასისტენტმა გაამხნევა კირილე.

— საქმე გარეგნული სილამაზე როდია, არამედ იდეის სისწორეა, აზრის სინამდვილეა. ნახატი გასაგებია. ეს ნიშნავს, რომ ეტილენის და ნახშირმჟავას ნარევმა დააჩქარა თქვენი საცდელი მცენარეების ზრდა. ოჰო! ამას შეხედეთ... ეს უნდა გადავიღოთ ფოტოგრაფიულად!

ბაშმეტოვმა ამოიღო ჯიბიდან ფოტოაპარატი და გადაიღო, რაც იდგა ყუთებით ფანჯარაზე.

აი ეს ნახატი.

მარცხნით — ის ყვავილები, რომელიც გაზის ზეგავლენით იზრდებოდა, მარჯვნით — ის, რომელიც იდგა ჩვეულებრივ ჰაერთან ყუთში.

— სასიამოვნოა, რომ გაგიგონიათ, ამხანაგებო, — ჩამოართვა ხელი სიმონს ახალგაზრდა მეცნიერმა, — სწორე გითხრა, თქვენ ისე გამაკვირვეთ პირველად, რომ უცებ ვერც კი მოვისაზრე, რას ნიშნავდა, როდესაც თქვენთან გავიგონე სიტყვა „სტიმულაცია". ძალიან ნერვებიანი კაცი ვარ, და მერე კიდევ საქმე ის არის, რომ მე თვითონ ვმეცადინეობ მცენარის ზრდის დაჩქარების საკითხზე. ექვსი თვის შემდეგ, შემოდგომისათვის უნდა დავასრულოთ ზოგიერთი წინასწარი ცდა, მაშინ თქვენც მოგიწვევთ აკადემიის ლაბორატორიაში, ახლა კი გიჩვენებთ, როგორ უნდა მოეწყოს უფრო ხელსაყრელად მილების შეერთება, რომ გაზების შერევა უფრო ზუსტად მოაწესრიგოთ.

ბავშები დიდი ყურადღებით უსმენდენ ბაშმეტოვს.

## III

ლაბორატორიის უზარმაზარ დარბაზს ოდნავ ანათებდა სასიამოვნო მოლურჯო მკრთალი სინათლე. ორიოდე ათეული ახალგაზრდა ნატურალისტები — ექსკურსანტები წყნარად ებაასებოდენ, ერთმანეთს, აქვე იყო ჩვენი ნაცნობი სიმონის ბოტანიკური ჯგუფებიც. ინა გაზრდილიყო — ნახევარი წელიწადი გავიდა ჩვენი მოთხრობის დასაწყისიდან.

ნახევრად დაბნელებულ დარბაზში გაისმა ახალგაზრდა ხმა:

— აბა, გამარჯობათ, ამხ-გო სტუმრებო, სადღაც კირილეს ახლოს დაიწკაპუნა განხოლოებელმა, და ელექტრო - ბრწყინვალე მზემ იფეთქა გუმბათურ ჭერში. ყველამ დაინახა ბაშმეტოვი. ის იდგა ძალიან დიდ მრგვალ მაგიდასთან, რომელიც ცირკის ასპარეზს ჰგავდა. რამოდენიმე თანამშრომელს ეჭირა ხელში კოლბები და მინის მილები.

— თქვენ ყველანი იცნობთ მცენარის სტიმულაციის საკითხებს. აი რისთვის არის მნიშვნელოვანი ამ საკითხის ცოდნა: ხშირად სოფლის მეურნეობას მრეწველობას ადარებენ. მრეწველობაში მანქანებმა ნედლეული უნდა გადაამუშაონ; „შრომის საგანმა უნდა გაიაროს მთელი რიგი ერთმანეთთან თანდათანობით დაკავშირებული პროცესები, რომელსაც აკეთებს მთელი რიგი სხვადასხვა, მაგრამ ურთიერთ შემავსებელი სამუშაო მანქანები" — ასე ამბობდა კ. მარქსი. მრეწველობაში ეს მანქანების სისტემა იძლევა განუწყვეტელ საწარმოო პროცესს. მაგრამ რას ვხედავთ ჩვენ მიწათმოქმედებაში? მიწათმოქმედებისათვის არის მანქანები და მერე როგორი— კომბაინები, გამილტონის ელექტრო გუთნები, ბლასის დასარგავი მანქანები, ხორბლისათვის სახნავი გუთანი, რომელსაც გააქვს 3 ნახევარი

[1]) იხ. ჟ. პიონერი № 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მეტრი მიწა, კარტოფილის სათხრელი, რომელიც თვითონ იღებს მიწიდან კარტოფილს, თვითონ რეცხავს, ახარისხებს და ტომრებში ჰყრის ისე ფრთხილად, რომ ერთი კარტოფილი არსად გადავარდება.

მაგრამ იმავე ამერიკელებმა გამოიანგარიშეს, რომ სამიწათმოქმედო მანქნები სამრეწველო მანქანებთან შედარებით შეუწყნარებლად ზარმაცობენ. მაგალითად, გუთანი რვა წლის განმავლობაში მინდორში მხოლოდ 224 დღე, მუშაობს, დანარჩენ დროს დამშვიდებით განისვენებს სარაიაში, დისკოიანი ფარცხი, ვთქვათ, 13 წლიწადი მსახურობს, მაგრამ თუ გამოიანგარიშებთ ნამდვილად მიწას ფარცხავდა მხოლოდ 54 დღის განმავლობაში. თივის გადამბრუნებელი 14 წელიწ. სძლებს, მაგრამ ამ 14 წელიწადში თივას აბრუნებს მხოლოდ 21 დღეს. მაგალითები ბევრია. და დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ აქედან? ის, რომ უნდა დავტვირთოთ სასოფლო - სამეურნეო მანქანები სამუშაოთი. ჩვენ ვიცით, რომ მიწათმოქმედებაში უმთავრესია თესლი და მიწა-ნიადაგები. თესლი ქიმიური ლაბორატორიაა. ნიადაგი — ესეც ურთულესი ქიმიური მანქანაა. მაგრამ თესლის ამოსვლაც და მიწის ნაყოფიერებაც განსაზღვრულ კანონს ემორჩილება. ყოველ პროცესს თავისი დრო აქვს მიჩენილი. უწინდელი დროის მეცნიერება ცდილობდა მხოლოდ აეხსნა ბუნების მოვლენები, ეპოვნა კანონები და ამით დაკმაყოფილებულიყო, დიალექტიკური მატერიალიზმის მეცნიერება კი ამით არ კმაყოფილდება. არაა საკმაო იცნობდე ქვეყნიერების ვითარებას, საჭიროა ამ ქვეყნიერების გადაკეთება. ჩვენ რომ მოვახერხოთ თესლში ამოსვლის პროცესის დაჩქარება, რომ მოვახერხოთ მიწის გაღვიძება, ისე რომ ავაჩქაროთ მისი მუშაობა, მაშინ ჩვენი მანქანებიც მიჰყვებოდენ მიწის მუშაობას და არ დასჭირდებოდათ ლოდინი, სანამ მიწა თვითონ არ ინებებდა თესლის ამოყვანას.

ამ წუთში გაჩვენებთ, რა მიღწევები აქვს ჩვენ საბჭოთა ლაბორატორიებს. თქვენს წინაშე არის ხელოვნური ნიადაგი. ქეჩის ქსოვილზე მინერალური სასუქების რთული შემადგენლობის ნიადაგია. ნიადაგის წრე სექტორებად არის დაყოფილი. ყოველ სექტორში შეიძლება მოაწყოთ ისეთი ნიადაგი, როგორიც გესაჭიროებათ. წრე მოძრაობს და, როგორც ხედავთ, სპეციალური შირმით შეიძლება სხვადასხვა ძალის სინათლით გააშუქოთ..

ბაშმეტოვმა აქვე აჩვენა, რასაც ამბობდა, შირმები და წრის მოძრაობა.

— ნიადაგი თბება შვეციის მეთოდით — გაყვანილი ნიკელინის კაბელებით, რაც ნიადაგს 7 გრადუს სითბოს ჰმატებს. ახლა კი ვიღებ ჭურჭელს, შიგ ხორბალია — „ინტურია 12", ჰიბრიდული სწრაფმწიფავა, რომელსაც თესვენ ისეთ რაიონებში, სადაც გვალვა იცის. თესლი სპეციალური წესით არის დამბალი და ამ თესლს ვთესავ...

თესლი ხელოვნურნიადაგიან სექტორზე დაეცა. ორმა თანამშრომელმა ნიადაგი ფოცხით გაასწორა. ბაშმეტოვმა აამოძრავა ძრავი. მაგიდამ იწყო ღერძზე მოტრიალება.

— ნიადაგი თბება... ზედაპირზე ქრის სპეციალური უვნებელი გაზის ნარევი ნიავი. მისი მოკლე ტალღები ქლენთვენ ჩვენ გარემო ატმოსფეროს. წრის ყოველი მოტრიალება "ხელოვნური დღე - ღამეა". პროჟექტორი, მაღლიდან რომ დასცქერის, სავსებით სწევს მზის მაგიერობას.

კირილემ ჩასჭიდა ხელი მხარში მის წინ მდგომარე სიმონს.

— აი ეს საქმეა! უჰ, ხედავ!

ხელოვნურ ნიადაგზე აუდიტორიის თვალწინ ამოვიდა მწვანე ღეროები, იწიოდა მაღლა მილივით... იკეთიბდინ თავთავს..

წრე გაჩერდა. ბაშმეტოვმა მოწყვიტა თავთავი, მოფშვნა ხელის გულზე.

— სინჯეთ — ნამდვილი ხორბალია. 54 ხელოვნური დღე.

ინა წინ გამოვარდა.

— ამხანაგებო! აქ არის სამი ყმაწვილი შორეული, კოლმეურნეობიდან. ისინი ხედავენ, თუ რა მიმართულებით მუშაობს საბჭოთა მეცნიერება. ჯერ, მართალია, მუშაობა ლაბორატორიებში წარმოებს, მაგრამ ჩქარა მეცნიერების მიღწევები კოლმეურნეობის მინდვრებზე იქნება გადატანილი. ჩვენ გავაღვიძებთ მძინარე მიწას...

# ამიერ-კავკასიას

შენ გრიგალივით თავზე დაგ-
ყურებს
ქეჩოაყრილი ზღვათა მღოძება,
ნავთის ქვეყანავ, რკინა—ნახ-
შირია.
ელსადგურების ამთაგორებავ
ბაქო, შირაქი ჩქერად ნაშობი;
ინდუსტრიალურ ჩავთის ქარ-
ხნებით!
აღარ დავსტოვოთ მიწის ფარ-
თობი,
მადანს დაჰკარი მძლავრ გაქა-
ნებით!
ქანებს, ქანები მოჰყვეს ფოლა-
დის,
რკინის, სპილენძის, ნავთის გო-
რებით,
და ხუთწლედიან დიდი ბრძო-
ლებით.
მოვალთ მანქანით და ტრაქტო-
რებით, —
ძორაჰეს, ზაჰეს, რიონჰეს, სხვები,—
ჰესების წყება გუგუნით მოდის,

ახალ ცხოვრების ღრინავენ
მტრები,
თავზე დაატყდათ მეათე ლოდი.
ფედერაცია ზეიმობს ლხენით,
რკინის ეპოქას გიგანტებს ვად-
გამთ,
უნდა დავიცვათ ფოლადის მკე-
რდით.
აზერბეიჯან, საქართველო, ჰაი-
ასტან!
ჰაისტან, რომლის გულშიც მკე-
ფობს სპილენძი,
აზერბეიჯან—ნავთის დედა მა-
დრეენიანი,
და საქართველო ბამბისა და
ჩაის საუნჯე
და საქართველო რიონჰესით,
ალაზნიანით
ძმური ერების მრეწველობის
ფუნდამენტები—
აი ჩათახი, ტყიბბული და შამ-
გორიანი.

შოვინისტური [illegible]
მოვს[illegible]
ყველა ერთი ვართ, დამკვრე-
ლია ადამიანი.
ძმურად მოვდივართ, ათი წელი
მოვაბიჯებდით,
დაღლა არ ვიცით, ჩამორჩე-
ნილს ბუქსირს ვაშველებთ,
და ხუთწლედიან ფოლადური
გიგანტ ბიჯებით;
ახალ ქვეყანას, სოციალიზმს,
ჩვენ ავაშენებთ,
და გრიგალივით ათი წელი
მკერდით გავტორეთ,
მოდის მანქანა და ტექნიკის
ვიპყრობთ მწვერვალებს,
ვქმნით და ვაშენებთ ფოლა-
დიან ნაწრთობ ტრაქტორებს,
რკინის ეპოქავ, ელსადგურებს
ავამთაგორებთ.

პიონერი: **ავთანდილ კაშმაძე.**

---

— და აი თქვენ ნახავთ ახლა, რაც შეუძლია მოგვცეს გალვიძებულმა მიწამ, - თქვა ერთმა თანამშრომელმა.

ბაშმეტოვმა ანიშნა, და კედლის დაყოლებით კონვეირზე ილექტროგზის ბრწყინვალე სინათლეზე გამოცურდა პატარ - პატარა, ნახევარმეტრიანი ხეები... ალუბლის ხეები—ყველა ყვავილებით დაფარული, ალუბლის ხეები — მუქი მსხვილი ალუბლით დაფარული..· ვაშლის პატარა ხეები — ყირმიზა ვაშლებით დაყურსული... ატმის ხეები, რომელნიც ავრცელებენ მწიფე ატმის ნაზ-და საამურ სუნს..· მსხლის ხეები, რომლის ნაყოფისაგან შტოების დასამაგრებლად პაწია სკამები ჰქონდა შედგმული... ნამდვილი ალლუმი იყო იმის, რის მოცემაც შეუძლია გაღვიძებულ დედამიწას ადამიანის შრომისა და გონიისათვის.

—ეს ივანე ვლადიმერის ძის მიჩურინის მრავალ წლის მუშაობის ნაყოთია. თქვენ, ალბათ, გაგიგონიათ მიჩურინის შესახებ.

— ვიცით, ვიცით! — შეჰყვირეს ყმაწვილებმა.

ყველაზე მეტად დაიყვირა კირილემ. მან გადაწყვიტა — არასოდეს არ დააძინოს მიწა უწინდებურად.

**ს. ბელიაევი.**



ამ-კავ. საბჭ. სოც. რესპ. ფედერ. ათი წლის თავის აღსანიშნავად ტფილისის საბჭოს საზეიმო სხდომა საოპერო თეატრის დარბაზში



ზეიმი ტფილისში ა.-კ. ს.ს.რ. ფედერ. X წლის აღსანიშნავად

# ქალაქების აკვანი

ამ დღეებში, მოსკოვში სეირნობის დროს, საკვირველ სახლში მოვხვდი. ამ სახლის მესამე სართულზე ყოველ ოთახში იყო ცალკე ქალაქი. ზოგ ოთახებში კი ორი ქალაქიც იყო ერთად. კარებზე, როგორც რკინის გზის სადგურებზე, იყო წარწერები: სტალინგრადი, ნოვოსიბირსკი, ვოლსკი, ძერჟინსკი. დერეფანი გეოგრაფიულ რუკას მოგაგონებდათ. მარცხნივ და მარჯვნივ გამოსჭვიოდენ სტალინაბადი, ხოჯანტი, მე შევიჭვრიტე ერთ კლიტის ჭუჭრუტანაში, ვიწრო ნახვრეტიდან, რომელიც თითქოს პაწაწინა ფიცარზეა ამოჭრილი, დავინახე ქალაქ იჟევსკის შიდამოები. შევიხედე მეორე კარშიაც. შავ ზღვაზე მდებარე ქალაქ სოხუმის საუცხოვო სანახაობა გადიშალა ჩემს წინ. ერთ-ერთ ქუჩაზე კაცი მოდიოდა. მისი სახე ნაცნობი მომეჩვენა. მე გავბედე, გავაღე კარი და შევედი ქალაქში..

— მობრძანდით, მობრძანდით, — მხიარულად მითხრა ქალაქ სოხუმიდან გამომავალმა კაცმა.

კაცი აღმოჩნდა ნაცნობი ინჟენერი ხუროთმოძღვარი, ამხ. ზუბინი. სოხუმი კი მუყაოსი აღმოჩნდა. ეს იყო ხელოვნურად შეძერწილი, შეწებებული და შეღებილი ქალაქის უდიდესი მოდელი—მაკეტი. მას ეჭირა დიდი ოთახის მთელი კუთხე.

ამ ზაფხულზე ვიყავი სოხუმში. ამიტომ მაშინვე შევნიშნე, რომ მაკეტი ზოგან არ შეეფერებოდა, სინამდვილეს. სწორად არ იყო გამოხატული ქალაქი. ზოგ ადგილას იყო ზედმეტი სახლები, ზოგან კი, პირიქით, მთელი უბანი აკლდა.

— ეჰ, ამხ. ზუბინო,—ვუთხარი მას,—თქვენ შეგითხზავსთ ეს აქ... ნამდვილი სოხუმი ასეთი როდია. აი ეს ქუჩა იქ არ არის.

— ეს ჩვენ მომავალი სოხუმი, დავამუშავეთ,—სთქვა ზუბინმა,—უნდა იცოდეთ, რა არის გიპროგორი.

დიახ, ყმაწვილებო, უნდა იცოდეთ, რა არის გიპროგორი.

გიპროგორი სრულიადაც არ არის ბერძნული სიტყვა. არამედ რუსული, საბჭოთა სიტყვაა. გიპროგორი —ქალაქებისა და დასახლებული ადგილების სახელმწიფო საგეგმავი ინსტიტუტია.

ისტორიის ძველი სახელმძღვანელოები ძლიერ მცირე ცნობებს იძლეოდა იმის შესახებ, თუ როგორ ისახებოდა და იზრდებოდა ქალაქები. უმეტეს შემთხვევებში მათ მოჰყავდათ ყოვლად ცრუ ცნობები, ზღაპრები მეფეების ობუნჯობანი ქალაქების აგების საფუძვლების [illegible] შესახებ. სამაგიეროდ [illegible] ძველი ისტორია ავსილია ქალაქების ნგრევის აღწერილობით. პომპეის დაღუპვა, ბაბილონის დანგრევა. რეიმსზე ყუმბარეების დაშენა—ეს აიწერებოდა მოხერხებულად და საქმის სრულის შეგნებით. ძველი ქალაქები იზრდებოდა. განზე და იყო უსწორმასწორო, დაულაგებელი, ძინგრეული, ყოველი მეპატრონე აშენებდა სად და როგორც მას უნდოდა. ქალაქი შედიოდა უსწორო ჩიხებში და იზრდებოდა ის ცრუ და აჭეწილი. მხოლოდ საბჭოთა კავშირში, იმ ქვეყანაში, სადაც ყოველივე მოცულია მთლიანი მეცნიერული გამოანგარიშებით, მხოლოდ საბჭოთა კავშირში ემორჩილება ქალაქების აღმოცენება და გადაკეთება მტკიცე რევოლიუციონურ გეგმას.

გიპროგორში წყდება ქალაქების, საქარხნო ახალმშენების და სატახტო ქალაქების ბედი. აქედან გამოვა საბჭოთა კავშირის ყველა ახალი ქუჩა, ახალი ქალაქების ხეივნები, სოციალისტური უბნები და ბაღები. გიპროგორი სამოქალაქო ნაგებობათა სრულიად საკავშირო სოციალისტური მკვებავია აქ სახაზაოებში იზრდება ახალი ქუჩები. ქალაქების საბჭოები გადასვამენ მათ თავიანთ ქალაქის მიწაზე. გიპროგორი მკვებავია მომავალი ქალაქების და გამასწორებელი დაწესებულებაა ძველებისათვის. აქ არამც თუ ისახება ახალი ქალაქები, აქ სწორდება ძველი უბნების ქუჩები, ერთდება გათვისთვისებული უბნები. აქ თვალი ეხილება ძველი რუსეთის ქალაქების ბრმა ჩიხებს, ფართოვდება ქალაქები და მოედნები.



აჭარლები ეროვნულ ტანისამოსში ამ.-კ. ს. ს.რ. ფედერ. X წლის თავის ზეიმზე ტფილისში



ლაგდებიან სწორად და წესიერად. ნუთუ გასაკვირველი არ არის, რომ მოსკოვში, ილინკის ქუჩაზე, ხალხი სწუხს სარატოვში მოსკოვისა და ვოლსკის ქუჩების გზაჯვარედინის სივიწროეზე? სად, როდის, ან რომელ ქვეყანაში იყო კიდევ ეს შესაძლებელი?

ზუბინმა მაჩვენა მომავალი სოხუმის გეგმა. მე ვნახე ქალაქი ისეთი, როგორიც ის იქნება ერთნახევარი—ორი, წლის შემდეგ. გეგმა აძლევდა ქალაქს ახალ საუკეთესო ნავთსადგურს მოხერხებულ ნავსაყუდით.

უბნები გადიდებული და შესწორებული იყო. კურორტები, აეროდრომები, ახალი ავტობუსების ხაზები, საზოგადოებრივი შენობები —საუცხოვო ქალაქი იქნება მალე ნამდვილი, არა მუყაოს სოხუმი, საბჭოთა აფხაზეთის სატახტო ქალაქი.

ბევრი დრო დასჭირდათ „გიპროგორელებს", რომ მთავრობისა და სოხუმის ქალაქის საბჭოს დავალება შეესრულებიათ. საჭირო იყო პროექტის შეთანხმება ხუთწლედის საერთო გეგმასთან. საჭირო იყო შეთანხმება წყალთა მეურნეობის და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებთან, საგეგმო კომისიასთან. საჭირო იყო შესწავლა ადგილისა, მიდამოების, ქალაქის ყოველი კუთხის, ცოდნა მისი რუკის. საჭირო იყო გამოანგარიშება—რა ადგილას მოდის მთიდან ქარი და სად უფრო მეტი მოძრაობა იყო ქუჩებში. ამას გარდა საჭიროა მომავალი სოხუმის საკითხის დამუშავება სოხუმელ მშრომელებთან ერთად. სოხუმის ყოველ მცხოვრებს შეეძლო გამხდარიყო ახალი ქალაქის პროექტის შედგენის მონაწილე. ჩვენ თვით ვიგონებთ და ვაშენებთ ჩვენს ქალაქებს. ქალაქის ყოველ ფანჯარას სურს ახალ ქუჩაზე გამოსვლა.

ამჟამად ახალი სოხუმის პროექტი მზად არის. ამჟამად გიპროგორის მაგიდებზე იგეგმება ცალ-ცალკე უბნები. ისინი ახლებურად აშენდება. მასში სახლები იქნება დიაგონალებად დაწყობილი. ეს კეთდება იმისათვის, რომ მთისა და ზღვის ქარებმა დაჰგავონ ქუჩები, გაწმინდონ მათში ჰაერი.

გიპროგორი—ჩვენი ახალი ქალაქების აკვანია. აქედან გამოდიან უზარმაზარი მწყობრად დაგეგმილი ქალაქების მაგისტრალები. ამ მაგისტრალებზე გაივლის ახალი ადამიანი. სწორედ ამისათვის ვაწყობთ რა ახალ ცხოვრებას, გარდავქმნით თვით ადამიანსაც.

თარგმ. თამარ მოდებაძისა.

# მთვარეზე აფრენა რაკეტით

ადამიანმა უკვე დაიპყრო ჰაერი, ჰაეროპლანების და დირიჟაბლების ფრენა, ჰაერით მოგზაურობა უკვე გაყოველდღიურდა და მოძველდა, ეს ახლა აღარავის აკვირვებს, მაგრამ ადამიანის გონება ვერ ისვენებს მას არ სურს არსებული მიღწევებით დაკმაყოფილება, ის ისახავს ერთი შეხედვით მეტად ფანტასტიურ და განუხორციელებელ მიზნებს, მაგრამ სულ ცოტა ხნის წინად ხომ ასეთსავე ფანტაზიად მიაჩნდა ადამიანს წყალქვეშა ნავები, ჰაერის გემი — დირიჟაბლი და რამდენიმე ათას კილომეტრზე რადიოთი მოხსენებების თუ სიმღერების მოსმენა, დღეს კი... დღეს ამით ვერავის გააკვირვებ!

ჰაერის დამპყრობათა მორიგ ამოცანას წარმოადგენს ცდები — გააკეთონ რაკეტა, რომელიც განავითარებს საშინელ სისწრაფეს და ადამიანს მისცემს საშუალებას შეიჭრას ატმოსფერის იქეთ, ესტუმროს.. მთვარეს, ვარსკვლავებს!

რაკეტის გაუმჯობესება — გამოცდას მიჰყვეს ხელი მეცნიერებმა. უპირველეს ყოვლისა ასეთი ცდა ჩაატარეს: ავტომობილს მოხსნეს მოტორი, უკან მიუმაგრეს რამდენიმე ათეული დენთი, დიდი რაკეტა და შემდეგ ელექტრობით დაუწყეს მათ





ერთიმეორეზე აფეთქება. რაკეტიანი ავტომობილი საშინელი სისწრაფით გაქანდა და საათში 240 კილომეტრი გაიარა. მაგრამ ასეთი რაკეტები არ გამოადგება ჰაერო-პლანებს — დენთი (თოფის წამალი) შეიძლება ადვილად აფეთქდეს მაშასადამე, ხიფათი უფრო საიმედო, უზიფათო საწვავის გამონახვა. ამის განხორციელებასაც შეუდგნენ. ამერიკაში გააკეთეს ადამიანის სიმაღლე რაკეტა რომლითაც აფრინდა მისი კონსტრუქტორი გოდარდი. რაკეტა ხაზინელი ხმით ავარდა ჰაერში, ირგვლივ მას ალი ერტყა, და მოსახლეობამ გადაწყვიტა — გოდარდი დაიღუპა, რაკეტა აფეთქდაო, რაკეტა კი მშვენივრად მუშაობდა, მისი მექანიზმი ოდნავაც არ დაზიანებულა, და კონსტრუქტორი ძალზე კმაყოფილი იყო გამოცდით.

გერმანელებმა გააკეთეს განსაკუთრებული შენადნობი „ელექტრონ", რომელიც ალუმინზე უფრო მსუბუქია და ფოლადზე მაგარია. ამ მასალით ააგეს სამმეტრიანი რაკეტა, რომლის გამოცდასაც აწარმოებენ.

როდესაც გააკეთებენ და ყოველმხრივ გამოსცდიან თხევადი საწვავით მომუშავე რაკეტებს, შემდეგ შეუდგებიან კიდევ უფრო დიდი რაკეტების კეთებას, რომ გადაიხრონ ისინი ოკეანეს ერთი ნაპირიდან მეორემდე და გადაზიდვინონ ფოსტა. ასეთი რაკეტა ატმოსფეროდან აფრინდება და გზის უდიდეს ნაწილს სიცარიელეში გაივლის. იქ მას არაფერი არ დაამუხრუჭებს და ისეთი სისწრაფით გაფრინდება, რომ ევროპიდან ამერიკაში გადაფრენას დაახლოებით ნახევარი საათი თუ დასჭირდება. ეს არ არის განუხორციელებელი ოცნება, ადამიანის გონება მიაღწევს ამასაც, ისე, როგორც მივაღწიეთ მას, რომ მოსკოვში აიღება საკონცერტო დარბაზის ფარდა, გაისმის „ინტერნაციონალი"-ს მუსიკა, და ტფილისში კი რადიომსმენელი ინსტინქტურად წამოიწევს ასადგომად, შემდეგ ღიმილი გადაუფრენს სახეზე და განაგრძობს მუსიკის მოსმენას მოსკოველებთან ერთად, ერთსა და იმავე დროს, თუმცა ტფილისიდან მოსკოვამდე ჩქარი მატარებელით სამდღენახევარის უნდება გზას..

გავა ცოტა ხანიც. ადამიანს არ დააკმაყოფილებს ევროპიდან ამერიკაში ნახევარ საათში მიფრენა, ესეც გაცვდება, მოძველდება, გაშაბლონდება. და ააგებენ რაკეტის გემს სამყაროს სივრცეში მოგზაურობისათვის და დადგება წამი, როდესაც ადამიანი ტფილისში მოისმენს ასეთ საუბარს:

— გამარჯობა. საით მიეჩქარები?

— ხვალ მივფრინავ, უნდა მოვეწყო..

— მეც ხვალ მივფრინავ, ჩემი ბიჭი ლონდონშია და მინდა ვნახო. შენ სად აპირებ?

— მთვარეზე.

— კაცო, იმ საქმის რა ვქნათ?

— დავბრუნდები და მოვილაპარაკოთ. შენ კი როდის გამობრუნდები ლონდონიდან?

— ხვალ სალამოსვე, ზეგ აქ სასწრაფო საქმეები მაქვს.

— ნახვამდე.

— ნახვამდე.

და გაშორდნენ ერთმანეთს.

—უჰ, ეს კი ზორბა ფანტაზიაა. — იტყვის რომელიმე გულუბრყვილო მკითხველი, მაგრამ, ცხადია, ის შემცდარი იქნება, ვინაიდან ყოველივე ეს უნდა მოხდეს, და მოხდება კიდეც!

## მთვარეზე აფრენა და უკან დაბრუნება

მოდი, გონების თვალით განვჭვრიტოთ ის იქნება არც ისე შორეული მომავალი, როდესაც პირველი სამგზავრო ვარსკვლავთმფრინავი მოსწყდება ჩვენს პლანეტას და მსოფლიოს სივრცის სიცარიელეში გაიჭროლებს, რომ ესტუმროს მთვარეს, დედამიწის მუდმივ თანამგზავრს. მოდი, ვსინჯოთ და დავხატოთ ამ უჩვეულო მოგზაურობის— მთვარეზე აფრენის და უკან დაბრუნების— სურათი.

...თქვენ შეხვედით გემის ოდენა ვარსკვლავთმფრინავის ვიწრო კაიუტაში. თქვენ მჭიდროდ ჩაგკეტეს, რომ კაიუტას გარეშე სამყაროსთან არ აერთებდეს თუნდაც სულ პაწაწა ჭუჭრუტანა. აქ უნდა გაატაროთ მთელი კვირა, ეს არც ისე დიდი დროა ასეთ მოგზაურობისათვის. სანამ ვარსკვლავთმფრინავი არ დაძრულა დაათვალიერეთ კაიუტა. აქ მომარაგებულია არა მხოლოდ სასმელ-საჭმელი, არამედ ჰაერიც, რომ მგზავრებს შეეძლოთ თავისუფლად სუნთქვა; არის ისეთი აპარატებიც, რომელნიც ნთქავენ ამოსუნთქულ, უკვე უვარგის ჰაერს. აი გამანათებელი და გამთბობი აპარატები, რომლებსაც ელექტრონი ამოძრავებს. არის წყალმყვინთავების კოსტიუმების მსგავსი ტანსაცმლები და ცხადია, ათასგვარი ფიზიკური ხელსაწყოიარაღი. რაკეტის გემის კაპიტანი აფრთხილებს მგზავრებს — აი, ახლა დაიძვრის ვარსკვლავთმფრინავი და გთხოვთ წამოწვეთ თქვენს საწოლებზეო.

გაისმის ყრუ შიშინი — დაიწყო საწვავის ანთება და მილიდან გაზის ხვლა. თქვენ უცნაურ რაღაცას გრძნობთ. მთელი თქვენი ტანი დამძიმდა, ხელ-ფეხი თითქოს ტყვიისაა გაქვთ. კიდევ კარგი, რომ წევხართ, თორემ წაიქცეოდით. რა მოხდა, რამ დაამძიმა თქვენი სხეული? ეს იმიტომაა, რომ თქვენს გემს ყოველ წუთს ემატება ფრენის სისწრაფე. იატაკი აწვება თქვენს ფეხებს, თქვენ კი გგონიათ, თითქოს თქვენ აწვებით იატაკს, თითქოს თქვენ დამძიმდით. როდესაც წევხართ, ქვევიდან საწოლი გაწვებათ, რომელიც მიფრინავს ვარსკვლავთმფრინავთან ერთად, თქვენ კი ახლაც თითქოსდა სხეულის დამძიმებას გრძნობთ.

მაგრამ ეს განცდა ხანგრძლივი როდი არის — რამდენიმე წამს შემდეგ წვა თავდება, სიმძიმის შეგრძნობა ქრება, და მის ადგილს იჭერს საწინააღმდეგო შეგრძნობა: თქვენ თითქოს არაფერს არ იწონით, და არა თუ თქვენ, კაიუტაში ყოველ ნივთს დაეკარგა სიმძიმე. თქვენ შეგიძლიათ აიღოთ ხელში, ვთქვათ, ბოთლი და გაუშვათ ხელი. ბოთლი ძირს არ დაეცემა; თუ წყლით სავსე ჭიქას დააპირქვავებთ, — წყალი არ გამოიღვრება. [illegible]ტებით დაიწყებთ კაიუტის ჰაერში ბუმბულივით ფრენას, იატაკსა და ჭერს შორის ქანაობას, სანამ არ მიხვდებით და ხელს არ ჩაავლებთ კედელზე ან ჭერზე მიმაგრებულ რგოლს. აი, ისევ წევხართ, მაგრამ თქვენ გგონიათ დიდხანს იწოლებით? საკმაოა ოდნავი მოძრაობა — და თქვენი მსუბუქი სხეული საპნის ბუშტივით წავა ჭერისაკენ, ჩამოცოცდება კედელზე, იფარფატებს იატაკის მახლობლად, გაეხახუნება მეორე კედელს, მიებჯინება ჭერს, კვლავ ჩამოცოცდება კედელზე და ასე ნელა იტრიალებს დაუსრულებლად.

რა არის ამ უცნაური მოვლენის მიზეზი? ამჟამად რაკეტის გემი და მის კაიუტაში მყოფი ყველა ნივთი თანაბარი სისწრაფით მიქრის სივრცეში და არ აწვება ერთმანეთს, ხოლო სადაც ნივთები ერთმანეთს არ აწვებიან, იქ არც არის სიმძიმის შეგრძნობა: სიმძიმე — ეს არის ნივთის წნევა თავის საყრდენზე.

დავანებოთ თავი კაიუტას და გავიხედოთ მინის ფანჯარაში. შავ ვარსკვლავიან ცაზე ხედავთ თქვენ მიერ მიტოვებულ დედამიწას, რომელიც ელვარე ნამგალს ჰგავს. თქვენთვის ცხადი შეიქნება რომ თქვენ ცხოვრობდით ცის სხეულზე, მიხვდებით, რომ შავი, მძიმე დედამიწა განუსაზღვრელი ცის ნაწილია. მეორე მხარეს დაინახავთ მთვარეს, თქვენი მოგზაურობის მიზანს. ყოველდღე (უფრო სწორი იქნება ვთქვათ — ყოველ 24 საათის შემდეგ, ვინაიდან რაკეტის გემზე არ არის დღე და ღამე) უფრო და უფრო დიდდება





მთვარე. ასი საათის ფრენის შემდეგ რაკეტის გემი იმდენად მიუახლოვდება მთვარეს, რომ მთვარის მიზიდულობა გადააჭარბებს დედამიწის მიზიდულობას. ამ მომენტიდან თქვენ უკვე მთვარის ხელში ხართ და უკვე კი არ მიფრინავთ მთვარისაკენ, არამედ ეცემით მთვარეზე. მაგრამ რადგან მთვარე შედარებით პატარა ციური სხეულია, ამიტომ მისი მიზიდულობაც არ არის დიდი — 80-ჯერ უფრო ნაკლებია, ვიდრე დედამიწის მიზიდულობა. სწორედ ამიტომ თქვენ ნელა ვარდებით მთვარეზე. თქვენ საკმაო დრო გაქვთ იმისათვის, რომ გულდასმით დაათვალიეროთ მთვარის ზედაპირი. არაფერი არ გიშლისთ ხელს, არაფერი არ ჰფარავს მის ზედაპირს თქვენგან: მთვარეზე არ არის არც ატმოსფერო, არც ნისლი, არც მტვერი, არც ღრუბელი, უზარმაზარ მრგვალ მთვარეზე თქვენ ხედავთ ბუქდისებრ მთებს, ქედებს, ველებს, ნაპრალებს, ზღვის მსგავს უზარმაზარ ჩავარდნილ ადგილებს, რომლებშიც წყალი არ არის...

იქ არ იცის წვიმა და ნამი. მალე მოგიხდებათ ამ უცნაური და, როგორც გავს, უსიცოცხლო კუთხის უფრო ახლოს გაცნობა.

გემის კაპიტანი მანევრებს აკეთებს, რომ რაც შეიძლება შეასუსტოს ვარსკვლავთმფრინავის დაცემა მთვარის ზედაპირზე. ბოლოს, როგორც იყო, მან. მოახერხა მთვარეზე მშვიდობით დაშვება. თქვენ იცვამთ „წყალყვინთვის“ კოსტიუმს, ზურგზე ჩანთაში ჰაერის მარაგი გაქვთ, და გამოდიხართ კაიუტიდან, რომ გაეცნოთ მთვარის ბუნებას.

გადის ცოტახანი, და ბრუნდებით კაიუტაში, მოგაქვთ მთვარის ბუნების ნიმუშები, ფოტოგრაფიები, ჩანაწერები. დროა დავბრუნდეთ დედამიწაზე.

ამუშავდა მექანიზმი, მოსწყდა რაკეტის გემი მთვარეს და შესრიალდა სამყაროს უსაზღვრო სივრცეში. 50 საათს გრძელდება ფრენა მთვარის მიზიდულობის რაიონში, შემდეგ კი უკვე დედამიწა იზიდავს გემს, და 100 საათს მიფრინავს იგი დედამიწისკენ თავბრუდამხვევი სისწრაფით. დედამიწას, რომ მიუახლოვდება, ის 36,000 კილომეტრს გადის საათში და სწორედ აქ სჭირდება კაპიტანს სიმარჯვე: ასეთი სისწრაფით მსრბოლავი, რომ დაეცეს დედამიწაზე, გემი მტვრად იქცევა. მაშ რა ჰქნას კაპიტანმა? დედამიწის ატმოსფეროში მას გრძელი სპირალებით მიჰყავს გემი და ჰაერის წინაალმდეგობით ამუხრუჭებს დედამიწაზე დაცემას. აი, უკვე ჩანს ქალაქი... ვარსკვლავთ მფრინავი კოხტად ჯდება იმ ადგილას, საიდანაც აფრინდა ერთი კვირის წინ...

გადმოკეთებული შ. თ.



ყარაიას რაიონი „კიზილ შეფეკო“ — კოლმეურნეობის ცხვრის ჯოგი

# კომკავშირი

სტ. რ. სტანდე[1]

ჩამოდექით, გზა მოგვეცით,
მოვედებით არემარეს,
ჩვენ დავამსხვრევთ ყველა ღმერთებს
და გავუთხრით მათ სამარეს!
ეს საფლავი ღრმა იქნება,
ზღვაზე უფრო განიერი,
ჩვენი ბიჯი მედგრად ისმის,
მებრძოლების გვაქვს იმედი
ეს არ არის სეირნობა,
მტრებისაკენ გქონდეს პირი!
იქნებ თოფმა იგრიალოს,
მოდის, მოდის კომკავშირი—
მოდის მუშა ახალგაზრდა—
მოწინავე, მტკიცე, მარდი,
მზე დაგვცქერის ჩვენ ალერსით,
და არ ვიცით სევდა, დარდი.
მზე გვიკოცნის ტუჩებს, თვალებს
და ლოზუნგებს ჩაგვჩურჩულებს;
ვუპასუხებთ: „არ დავზოგავთ,
მუსრს გავავლებთ მთელ ბურჟუებს“.
ეს არ არის სეირნობა
მუსიკით და სიმღერებით,
იქნებ ახლაც იგრიალოს
შაშხანებმა ველურ ხმებით.
კომკავშირის მზე არ ჩავა.
თავის ცეცხლით დასწვავს ყველას,
ჩვენ მოვიყვანთ წითელ ხორბალს,
მოვსპობთ მავნე სარეველას-
თვითეული ახალგაზრდა
ათას კაცის არის ტოლი.
მტკიცედ ვდგავართ, ვით ბოტვინი,
ჩვენი გმირი და მებრძოლი.
ეს არ არის სეირნობა
მუსიკით და სიმღერებით,
იქნებ ახლაც იგრიალოს,
შაშხანებმა ველურ ხმებით.
მომავალი ჩვენთვის ბრწყინავს,
გზა იშლება, ვით მდინარე.
არ შევდრკებით გრიგალის, წინ
გაბედულნი, პირმცინარი.
ქარხნებიდან, ყანებიდან
ვინ მოვიდა ჩვენთან შარდად?
ეს მუშების და გლეხების
არის ჯარი ახალგაზრდა.
ბრწყინავს დარში და ავდარში
ჩვენი დროშა—ჩვენი ბედი,
და ლოზუნგი მასზე არის:
„მუშებს, გლეხებს—პოლონეთი“.

თარგმანი ვ. გ.

[1] პოლონეთის პროლეტარული პოეტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბარონ ბიბინეიშვილი: ლადო კეცხოველი

იმ დროს, როდესაც მენშევიკების ბელადი საქართველოში—ნოე ჟორდანია—შებრალებისა და მოწყალების ბარათებს სწერდა მეფის ოხრანკას, შესახებ იმისა, რომ იგი ციხეში უდანაშაულოდ იმყოფება, ბრალი არ მიუძღვის და სხვა, — ბოლშევიკები მტკიცედ და ურყევად ებრძოდენ მაშინდელ წყობილებას.

არავითარი უკან დახევა, არავითარი შიში ციხის, ან კატორღის, ან სიკვდილის მათთვის არ არსებობდა. ჩვენ უნდა შევისწავლოთ ჩვენი პარტიის ბრძოლის ეს გმირული ეპიზოდები. ამ მხრივ უდავოდ დიდი მნიშვნელობა აქვს ძველი ბოლშევიკების მოგონებებს, დღიურებს, მემუარებს და სხვა.

სწორედ ამ მიმართულებით მუშაობს ჩვენში ძველი ბოლშევიკი ამხ. **ბარონ ბიბინეიშვილი,** რომელმაც საქართველოში ბოლშევიზმის გმირული ბრძოლების პერიოდიდან უკვე რამდენიმე წიგნი გამოაქვეყნა. ამ წიგნთა შორის უდავოდ მნიშვნელოვანია ეხლახან წიგნის ბაზარზე გამომცემლობა „ტეხნიკა და შრომა“-ს მიერ ტექნიკურად უხეიროდ გამოცემული წიგნი **„ლადო კეცხოველი“.**

ჩვენი ახალგაზრდობა ჯერ კიდევ საკმაოდ არ იცნობს მათ, რომელნიც გმირულად დაიღუპენ თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში.

გმირთა ასეთ რიგს ეკუთვნის ამხ. **ლადო კეცხოველი,** რომლის შესახებ ჩვენ დღემდე ცოტა ცნობები მოგვეპოება. ამხ. ბარონის წიგნი ამ ნაკლს უდავოდ ავსებს. ამხ. ბიბინეიშვილის „ლადო კეცხოველ“-ში, რომელიც დამყარებულია ცოცხალ დოკუმენტალურ მასალებზე, მეტად საინტერესო ცნობებია მოთავსებული ბოლშევიკების ბრძოლის შესახებ.

ლადო ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო, 29 წლის, მეფის ოხრანკის მიერ მოყიდულმა დარაჯმა 1903 წელს ციხეში ვერაგულად რომ მოჰკლა. აი რას სწერდა მაშინ ტფილისის კომიტეტი თავის პროკლამაციაში: „ამხანაგებო! კვირას, დილის 10½ საათზე, მეტეხის ციხის დახურულ საკანში ტყვიით მოჰკლეს თავისუფლებისათვის დაუღალავი მებრძოლი, ლადო კეცხოველი. ახალგაზრდობიდან უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იგი იბრძოდა ადამიანის უწმინდესი უფლებისათვის და პროტესტს უცხადებდა ყოველგვარ თვითნებობას და ძალადობას. ვერც საპყრობილის კედლებმა და ვერც დილეგმა ვერ დაასუსტა მისი ენერგია. ყოველ დღე გაისმოდა მისი ხმა: „ძირს თვითმპყრობელობა, გაუმარჯოს რესპუბლიკას და სოციალიზმს“!

დღემდე ჩვენთვის ეს უცნობი დოკუმენტი გამოტანილი აქვს ამხ. ბარონს თავის წიგნში. იგი მეტად დამაჯერებლად მოგვითხრობს ლადო კეცხოველის გმირული ბრძოლების შესახებ. გარდა ამისა, წიგნი მხატვრულადაც თავის დონეზე დგას. აი როგორ აგვიწერს ამხ. ბიბინეიშვილი ლადოს მკვლელობის ფაქტს „.. 1903 წ. 17 აგვისტოს ლადო კეცხოველი, ეს უბადლო რევოლუციონერი, უსაზიზღრესი მთავრობის საზიზღარი მონის, ციხის გუშაგის, ტყვიით განგმირული ვარდება თავის საკანში“.

აღნიშნულ წიგნში მოთავსებულია ლადო კეცხოველის ჯერ ჩვენთვის სავსებით ახალი და უცნობი ორი წერილი, მეტეხის ციხიდან მოწერილი ძმისადმი, სადაც ლადო მტკიცედ დგას თავისი რევოლუციონური აზრის სადარაჯოზე.

იგი, როგორც ბოლშევიკი, ბოლშევიკური შეუდრეკლობით ეკითხება ჟანდარმთა სამართველოს: „ამასთანავე ვთხოვთ ბ-ნ ჟანდარმთა სამართველოს უფროსს — მაცნობოს, აკრძალული მაქვს თუ არა ნათესავების ნახვა; თუ აკრძალული მაქვს, რით იყო გამოწვეული ამგვარი განკარგულება“ და სხვა. აქ მკვეთრად მოისმის ურყევი ბოლშევიკის ხმა, რომელსაც არ ეშინოდა არაფრის და რომელიც უდიდეს საფრთხეს უქმნიდა მეფის ოხრანკას.

დღეს, როდესაც ჩვენ ხელში იმყოფება ამხ. **სტალინის „წერილი კავკასიიდან“,** რომელიც ნიღაბს ჰხდის ნოე ჟორდანიას ოპორტუნიზმს, მარჩანჩალობას, როდესაც ჩვენ უნდა შევისწავლოთ ბოლშევიზმის ბრძოლა მენშევიკების წინააღმდეგ საქართველოში, — ჩვენ დიდ დახმარებას გაგვიწევს ძველი ბოლშევიკების მოგონებები და მათ შორის განსაკუთრებით ამხ. ბარონ ბიბინეიშვილის **„ლადო კეცხოველი“, „მეოთხედი საუკუნის მანძილზე“** და სხვა.

რუსეთში „მოლოდაია გვარდია“-ს გამომცემლობამ უკვე კარგა ხანია დაიწყო ძველი ბოლშევიკების მოგონებების გამოცემა კომკავშირში ახალ მიღებულთათვის, რაც მოგვცემს ჩვენ საშუალებას შევისწავლოთ ბოლშევიზმის განვლილი გმირული ბრძოლების ეპიზოდები.

ჩვენში ამ მხრივ ძალზე ცოტა კეთდება, ამ გარემოებას კი განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

ამხ. ბიბინეიშვილის **„ლადო კეცხოველი“**, როგორც საუკეთესო დოკუმენტალური მასალა იმის შესახებ, თუ როგორ გმირულად იბრძოდენ ბოლშევიკები წარსულში, უნდა წაიკითხოს, ყოველმა მუშამ, კომკავშირელმა და პიონერმა.

დროა ჩვენშიც მივაქციოთ სერიოზული ყურადღება ძველი ბოლშევიკების მოგონებების გამოცემის საქმეს!

**კ. მელაძე.**



საჩხერე. ჭიათურის სატყეო მრეწველობის მეურნეობა

ტფილისი

ფასი 60 კ.

# ჩნყილისა და ჭიანჭველას გზით

მენშევიკი ამირანა, დაშნაკი ოგანეზა და მუსავატი მამედა დაძმობილდენ, მიადგენ ქემალ ფაშას და შეეხვეწენ:

— ქემალო, მოგვეცი ჯარები, ავიღებთ საქართველოს, აზერბეიჯანს, და სომხეთსა, გადავარჩენთ და გამსახურებთ სამივე ერსა, მოგცემთ ნავთსა, ნახშირსა და მარგანეცსა. შენ მოგანდობთ ჩვენი მრეწველობის ბედსა, თათრულად დავინათლებით, გავაღებთ მეჩეთებსა!



ქემალმა უპასუხა:—იახში, ყარდაშებო, მაგრამ ბათომი, ყარსი და ბაქო მე უნდა გადმომცეთ, ჯარის გადასაყვანად გემებიც თქვენ მომცეთო.

ერის პირმშო შვილები მიადგენ იტალიასა, სამეფოსა საფაშისტოსა, მუსოლინს დაუჩოქეს და შეეხვეწენ:

— მუსოლინ, მოგვეცი გემები, გადავიყვანთ ქემალის ჯარსა, მივადგებით ჩვენს მიწა-წყალსა, დავამარცხებთ კომუნისტების ჯარსა, გასიამოვნებთ შენცა და რომის პაპსა.



მუსოლინმა გაიღიმა და უთხრა:

— გათხოვებთ გემებსა, ჯორებსა და ცხენებსა, ჰაეროპლანებსა, მაგრამ... თქვენ უნდა მოგვცეთ ჭიათურა, ტყიბული და შირაქის ველი, უნდა ამუშაოთ ყველა ბერი და მღვდელი, თქვენვე უნდა იშოვოთ ზარბაზანი და თოფი.

საეული ჟენევაში გადახტა.

მგზავრობაში დიდი ბრძოლა გადახდა.

ჟენევა მინისტრებით გულმხიარული დახვდა.

— ჟენევა, მოგვეცი ზარბაზანი, თოფი და ხმალი: მივუტანთ მუსოლინსა, ის მოგვცემს გემებსა, მას მივგვრით ქემალსა, ის მოგვცემს ჯარებსა, ავიღებთ საქართველოსა, აზერბეიჯანს და სომხეთსა, გადავარჩენთ სამსა ერსა, თქვენც გასარგებლებთ ბევრსა!



ჟენევამ მათ საფრანგეთის სამხედრო საწყობზე მიუწერა. დელეგატები ახტენ—დახტენ და პუანკარესთან ჩახტენ.

— პრეზიდენტო, მოგვეცი იარაღი და ფულია, საქმე უნდა გავაკეთოთ, რთულია: უნდა დავიხსნათ ჩვენი რჯულია, თქვენი დახმარება ჩვენთვის პირველი სართულია. პუანკარემ უპასუხა:

— გავიგე მე თქვენი აზრი და გონება. უნდა გადმომცეთ მთელი თქვენი ქონება, მოგცემთ ზარბაზანს, თოფსა და ხმალსა, გათხოვებთ ფულსაც, დაგადებთ ვალსა. მხოლოდ მომეცით ამის თავდები, რაც რომ მოგთხოვოთ — ამითავდებით.



დელეგატები ახტენ—დახტენ ...
ოსტინ ჩემბერლენს ჩაუცვივდენ ფ...
ხებში.

მისცეს დაბლა სალამი.

— გვინდა თავდები, ჩვენო ძია...
მოგვე დასტური, გვაჩუქე ფულ...
ვკვდებით შიმშილით, პური გვ...

ოსტინმა უთხრა:

— ქუას აფრაკუს? მეც ვედ...
ვბედავ, რომ ვებრძოლო რუსს. წ...
დით, სხვა ძებნეთ ვინმე თავდე...
თორემ ტყვილია—მე ვერ დავდგ...

აქ პუანკარემ სხვა არ მიიღო, ა...
მუსოლინმა აჩუქათ რამე, ისევ ქემ...
თან მოიკალათეს, არ უძინიათ ...
დარევა ღამე.

ქემალმა უთხრა:

— თქვენ ხეტიალში საბჭოთა ხა...
თან შეეკარ კავშირი, არ მინდა თქ...
ნი არც მარგანეცი და არც ნავთი ...
არცა ნახშირი!



დელეგატები ახტენ და დახტენ.

**ს. ძნელოღლი.**

შეკვეთა 1155 გაზ. „კომუნისტი“-ს სტამბა კამოს ქ. 68. მთავლიტი 1077 ტირაჟი 5.000